კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ილია ჭავჭავაძე

# საქართველოს რესპუბლიკა

სს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
15 სექტემბერი, 2003 წელი
№246
(4625)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

ვიზიტი

## ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი თბილისიდან გაემგზავრა



**დამთავრდა საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის როლანდას პაქსასის ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტი. ლიტვის ლიდერი მეუღლითურთ თბილისიდან გაემგზავრა.**

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარს თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად დაემშვიდობა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ბედნიერი მგზავრობა უსურვა მას.

საპატიო სტუმარი გააცილეს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, მთავრობის წევრებმა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საქინფორმი.

თვალსაწიერი

## არ გაგიკვა ეგ ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!

დღეს როგორ არის, არ ვიცი, მაგრამ მე რომ სკოლაში ვსწავლობდი, უმიზეზოდ გაცდენაზე ტყავს გვაძრობდნენ. იყო მშობლების დაბარება, რასაც საღამოს თავისთავად მოჰყვებოდა ქამრით აჭრელება, მეტისმეტზე — ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, და თუ ძალიან გაახურებდი, მილიციის ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზე აყვანა და, აქედან გამომდინარე, უბნის ინსპექტორთან უსიამოვნო „აღმზრდელობითი ხასიათის“ საუბრები.

ჯგუფური „შატალო“ ხომ — საერთოდ...

უნივერსიტეტში გაცდენებისათვის მშობლებს არ იბარებდნენ, ეკონომიკურ სანქციებს მიმართავდნენ — სტიპენდიებს გვიხსნიდნენ (ამჟამად როცა უმეტესად სტიპენდია სტუდენტებისათვის ისეთივე უცნობი და გაურკვეველი ცნებაა, როგორც ირმის ნახტომის თანავარსკვლავედის სიგრძე-სიგანე, ნეტა როგორ ინარჩუნებენ აუდიტორიას?).

მთელი ეს ყრმობისა და სიჭაბუკის მოგონებები ჩვენი პარლამენტის სხდომების არასაპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და მივლინება საპატიოდ ითვლება) გამცდენთა ბოლო ორი წლის მონაცემების გაცნობამ აღმიძრა.

ამ სიას ასლან სმირმა მეთაურობს, რომელსაც მხოლოდ შარშან 80 გაცდენა აქვს. „მეწინავეთა“ სიაში შეხვდებით კახა ჩიტაიას (60), ივანე მერაბიშვილს (54), ლევან პირველს (59), ზურაბ ქვანიას (55), მაია ნადირაძეს (51), გიორგი ხევიაშვილს (61) და სხვათა მრავალთა. ისინი წლევანდელი გაცდენებითაც ლიდერობენ.

იხ. მე-2 გვ.

ვაჟაობა

## პატრიოტიზმი როგორც სიცოცხლის გრძნობა

**13 სექტემბერს ტრადიციული, მორიგი „ვაჟაობა“ გაიმართა ჩარგალში. საზოგადოებრიობამ — დედაქალაქიდან, მცხეთა-მთიანეთის მხარის რაიონებიდან ასულმა დიდძალმა სტუმრებმა და, რა თქმა უნდა, თვით ვაჟას მშობლიური სოფლის მცხოვრებლებმა პატივი მიაგეს გენიოს პოეტს, ჩვენს მარადიულ თანამედროვეს, სრულიად საქართველოს მიულოცეს ვაჟაფშაველას 142 წლისთავი.**

ვაჟა — ჩვენი თანამედროვე.

აბა მოუსმინეთ თითქმის 100 წლის წინათ დაწერილ მის სიტყვებს:

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის... ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ.“

იხ. მე-2 გვ.



სცენაზეა დუშეთის სახალხო თეატრი.

სტუმარი

## ჩამოვა აბდულა გიული

**15 სექტემბერს თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გიული.** თურქი სტუმარი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს. დაგეგმილია საუბარი განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან მალხაზ კაკაბაძესთან.

საქინფორმი.

იხ. მე-2 გვ.

რეკომენდაცია

## მენოტი მხარს უჭერს



წლეულს ქართულ პრესაში არაერთხელ გაიჟღერა ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ცნობილი არგენტინელი სპეციალისტის, ერთ დროს ლეგენდარული მენოტის თანაშემწის ვისენტე კაიეტანო როდრიგესის მოწვევის შესაძლებლობამ. ეს იდეა ჩვენს თანამემამულეს ნიკო პატარქალიშვილს ეკუთვნის, რომელიც სამხრეთამერიკული მხარისგან სათანადო საშუამავლო რწმუნებებითაც არის აღჭურვილი.

იხ. მე-7 გვ.

ინტერპანორამა



**აშშ სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი ბაღდადში ჩავიდა. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურმა განაცხადა, ამ მგზავრობას ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გაცნობის ხასიათი აქვს.**



**შვედეთში რეფერენდუმი მიმდინარეობს ქვეყანაში ევროვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით. ანალიტიკოსთა მტკიცებით, ევროს სასარგებლოდ მოსახლეობის განწყობაზე გავლენა იქონია ევროვალუტის აქტიური მომხრის ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის ტრაგიკულმა დაღუპვამ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაჟაობა

# პატრიოტიზმი როგორც სიცოცხლის გრძნობა

(პირველი გვერდიდან)

მეტყველების გენიოსური სისადავით იგი ხალხურ მეტყველებას მიეახლა და ამიტომაც ძნელად გასარჩევია, თუ სად იწყება ვაჟას პიროვნული ოსტატობა და სად მთავრდება ხალხური პოეზიის შედევრების ანკარა წყარო; ვაჟა ფშაველა როგორღაც განმარტოებული დგას ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნელად და მისი მშვენიერების ასათვისებლად; ვაჟა განუზომლად ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე თანამედროვეებთან, მაგრამ ჩვენთანაც არ დგას ძალიან ახლოს, ვაჟა ფშაველა მომავლის პოეტია — ამბობენ მასზე თანამედროვენი თუ მომდევნონი.

ვაჟას მძლავრი აჩრდილი ცოცხალივით დააბიჯებდა იმ დღეს ნისლმოხვეული მთებით შემოჯარულ ჩარგლის ხეობაში და თითქოს აყურადებდა დღევანდელი საქართველოს მაჯისცემას.

თეატრონზე ზეიმი დუღდა. შეკრებილთ ვაჟაობა მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში არმაზ შამანაურმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წივწივაძემ, მწერლებმა, პოეტებმა. შალვა ნათელაშვილმა. იყო სიმღერა, ცეკვა. ჩარგალში ასულმა პოეტებმა თავიანთი პოეზიით გაახარეს საზოგადოება.

და დიდხანს ხმიანობდა ზეიმი დიდი ვაჟას ნასახლარზე.

**სანდრო ალექსიძე.**




თამაზ წივწივაძე პოეტებთან და პოეზიის მოყვარულებთან ერთად; ცეკვავენ მთიული გოგონები.

თვალსაწიერი

(პირველი გვერდიდან)

ქრონიკული გამცდენები ცოტანი როდი არიან — 50 კაცი, ყველა რწმენისა და იდეოლოგიის, ანუ ყველა პარტიის და ფრაქციის წარმომადგენელი.

ჰოდა, რა ვქნათ ახლა, რა ზომებს მივმართოთ ამ უდისციპლინო (რბილად რომ ვთქვათ) გამცდენ პარლამენტართა მიმართ?

ზოგი იტყვის, რაღა დროს ზომების მიღებაა, სადეპუტატო ვადა, მადლობა ღმერთს, უკვე მიაძაღლეს და ჯანდაბას, ოღონდ გზას ხეირი დააყენონ და არ ვჩივითო...

არა, საჭიროა იმიტომ, რომ ამ გამცდენთა უმეტესი ნაწილი პოტენციური მომავალი დეპუტატია და რასაც აქამდე აკეთებდნენ, ხვალაც იმასვე გააკეთებენ. და სხვებსაც აიყოლიებენ.

მაგრამ როგორ, რით გინდა დასაჯო?

იქნებ გვეცადა და მართლაც მშობლები მიგვეწვია პარლამენტში საერთო კრებაზე და რეკომენდაცია მიგვეცა ყურები აეხიათ თავიანთი ანცი შვილებისათვის?

მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვა ეს. ჩვენი პარლამენტარები ხანდაზმულ მშობლებს კი არა, მამალ მგლებს აღარ უშინდებიან (ზოგიერთზე სულაც იმას ამბობენ, რის მგელი, ლომის უკანალიდან გამოაქვს მაყუთი, თანაც ხელს ხახაში უყოფსო).

ალბათ ეკონომიკური სანქცია უფრო უპრიანი იქნებოდა. როგორც ვიცი, პარლამენტარები, რომლებსაც მთელი თვე, ქუდი რომ შეუგდო, პარლამენტში ვერ შეახედებ, თვის ბოლოს — ხელფასის დღეს, პირდაპირ პირველკლასელების სიბეჯითით ერჭობიან სალაროსთან.

ჰოდა, სამომავლოდ მაინც გამოვიყენოთ ეს უებარი წამალი. დარწმუნებული ვარ, პარლამენტარი, ჯიბე-უბე დოლარებით რომ ჰქონდეს გამოტენილი, ჯარიმად გახაზირებულ 100 ლარს თავს შეაკლავს.

ამდენად, ეკონომიკური სანქცია იმოქმედებს.

მაგრამ ეს სახვალიო პერსპექტივაა.

სადღეისო რეალობა კი ის არის, რომ როგორც ირკვევა, დეპუტატების შემყურე პარლამენტის აპარატიც სულ წასულა ხელიდან. ყოველ შემთხვევაში, სხვას ვერაფერს იფიქრებ, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის 8 სექტემბრის ბრძანების (№ 60/3) „საქართველოს პარლამენტის აპარატში შრომის დისციპლინის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" წაკითხვის შემდეგ.

აი, რას წერს ქალბატონი ნინო: „საქართველოს პარლამენტის აპარატში ხანგრძლივი დროის მანძილზე აღინიშნება აპარატის თანამშრომლების მიერ სამსახურის უმიზეზოდ გაცდენის, მათი დაგვიანებით გამოცხადების, სამუშაო დღის განმავლობაში სამსახურიდან უმიზეზოდ წასვლის და სამუშაო საათების დამთავრებამდე სამსახურის თვითნებურად დატოვების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით, რათა აპარატის ხელმძღვანელობამ საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანაწესის შესაბამისად განახორციელოს ქმედითი ზომები შრომის დისციპლინის შემდგომ განსამტკიცებლად, ვბრძანებ"...

ამ შემთხვევაში საინტერესო არ არის რას ბრძანებს პარლამენტის თავმჯდომარე „ზემოაღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით", საინტერესო ის არის, რომ როგორც პარლამენტის საკანონმდებლო ნაწილში, აპარატის ხაზითაც „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში".

მაგრამ საქმე ის არის, რომ ბოლო ხანს თვით სპიკერმა ვერ უჩვენა კარგი მაგალითი თავის კოლეგა დეპუტატებსა და ხელქვეითებს.

საგანგებო სესიის დღეს, რომელსაც სეკვესტრის საკითხი უნდა განეხილა, ქალბატონმა ნინომ, „ამ ფარსში მონაწილეობას ვერ მივიღებო"(?), დაჰკრა ფეხი და მშობლიურ ქუთაისში წავიდა საყვარელ ამომრჩევლებთან შესახვედრად. სხდომა, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

ასევე, საშემოდგომო სესიის გახსნის დღეს, ქალბატონმა ნინომ ერთი კი შეიხედა პარლამენტში, დააფიქსირა, რომ კვორუმი არ იყო და ამჯერად კახეთისკენ გაქროლდა (სხდომა, რა თქმა უნდა, იმჯერადაც ჩაიშალა). ჩავიდა და იქაურ ასევე საყვარელ ელექტორატს მოუწოდა, ყველაფერზე პასუხი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მოსთხოვეთ, მე ხელისუფლებაში მეორე პირი კი ვარ, მაგრამ ყველაფერში უბრალო ვარო...

## არ გაგივა ეგ ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!

ხელის დაბანა კარგია, მაგრამ... მოგეხსენებათ, პილატემაც დაიბანა ხელი და ქრისტე გოლგოთაზე გაგზავნა.

არ ვიცი, პარლამენტის თავმჯდომარის საზღვარგარეთ უხვი ვოიაჟები რამდენად წაადგა ქართულ პარლამენტარიზმს, მაგრამ იმ წარმატებული მოგზაურობების პარალელურად პარლამენტში რომ სულ შავად წავიდა საქმე, ფაქტია. დღეს იქ... ყველა ტელეფონი გამორთულია 150 ათას ლარამდე ძველი დავალიანების გამო და შენობაში მყოფ კაცს გული რომ წაუვიდეს, სასწრაფო დახმარებას ვერ გამოიძახებენ, თუ ვინმემ მადლიანმა მობილური ტელეფონი არ მიაშველა.

ისე რომ, პასუხისმგებლობის სხვაზე გადაკისრება დიდი ვერაფერი შეღავათია. ყველამ თავის წილი ჯვარი უნდა ზიდოს.

კინოფილმ „რეკორდის" ღინტუ სორდიასი არ იყოს, არ გაგივა ეგ ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!..

**პროკოფი კირკიტაძე.**

სტუმარი

# აბდულა გიული

## თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი



დაიბადა 1950 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ ქაისერში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და იქვე მიენიჭა დოცენტის ხარისხი. სადოქტორო დისერტაციის დაცვის მიზნით ორი წლით ინგლისში იმყოფებოდა. თურქეთში დაბრუნების შემდეგ ლექციებს კითხულობდა საქარიის უნივერსიტეტის საინჟინრო-ინდუსტრიულ ფაკულტეტზე. 1983-91 წლებში ეკონომისტად მუშაობდა საუდის არაბეთში ისლამური აღორძინების ბანკში. 1991 წელს მიენიჭა საერთაშორისო ეკონომიკის დოცენტის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ვადამდელ პარლამენტის არჩევნებში და „კეთილდღეობის პარტიის" სიით ქაისერის ვილაიეთიდან დეპუტატად აირჩიეს.

აბდულა გიული 1992 წლიდან არის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა კულტურის, საწესდებო, პოლიტიკურ და ეკონომიკური აღორძინების კომიტეტებში, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა pro merito-ს მედლით და მიენიჭა ევროსაბჭოს საპატიო წევრის მუდმივი სტატუსი. 1993 წელს აირჩიეს „კეთილდღეობის პარტიის" საგარეო ურთიერთობათა საკითხებზე პასუხისმგებელი თავმჯდომარის მოადგილედ. 1995 წლის პარლამენტის არჩევნების შედეგად მეორედ გახდა დეპუტატი კვლავ ქაისერის ვილაიეთიდან. 1991-95 წლებში იყო პარლამენტის დაგეგმარებისა და საბიუჯეტო კომიტეტის წევრი. ნეჯმეთინ ერბაქანის მიერ ჩამოყალიბებულ „კეთილდღეობისა" და „ჭეშმარიტი გზის" პარტიების კოალიციურ მთავრობაში (რიგით 54-ე) ეკავა სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის სპიკერის თანამდებობები.

„კეთილდღეობის პარტიის" დახურვის შემდეგ აბდულა გიული „სათნოების პარტიის" წევრი გახდა და დაიკავა პარტიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. სწორედ ამ პარტიიდან, 1999 წლის 18 აპრილს ჩატარებული პარლამენტის არჩევნების შედეგად, იგი მესამედ აირჩიეს დეპუტატად. 2000 წლის 14 მაისს გამართულ „სათნოების პარტიის" კონგრესზე აბდულა გიულმა, რომელსაც რეჯეფ თაიფ ერდოღანი და პარტიის რეფორმატორული დაჯგუფება უჭერდა მხარს, თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა, თუმცა გამარჯვება ვერ მოიპოვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დახურული „სათნოების პარტიის" რეფორმატორმა დეპუტატებმა 2001 წლის 14 აგვისტოს დააფუძნეს „სამართლიანობისა და აღორძინების პარტია", რომლის თავმჯდომარის მოადგილე პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი აბდულა გიული გახდა.

2002 წლის 3 ნოემბერს გამართული ვადამდელი პარლამენტის არჩევნების შედეგად აბდულა გიული დეპუტატად ამ პარტიიდან აირჩიეს.

2003 წლის 14 მარტს დაინიშნა თურქეთის (რიგით 59-ე) ხელისუფლების ვიცე-პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად. ფლობს ინგლისურ და არაბულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

კვირა

## რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ნატო გაბუნია.

### ქვეყნისთვის

აღმაშფოთებელია პატიმრების მასობრივი გაქცევის ფაქტი. სამწუხაროდ, ბოლო ხანს იმატა ასეთმა შემთხვევებმა. გულსატკენია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისევ ენერგოკრიზისია.

პოლიტიკურ ვითარებას რომ ვაკვირდები, იმედი გამიჩნდა იმისა, რომ ყველა გაერთიანდება, რათა საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს გაუყალბებლად.



### ჩემთვის პირადად

ინტენსიურად დავიწყე მზადება 17 სექტემბრის კონცერტისთვის, რომლის შესახებაც ოდნავ ფართოდ მოვუყვები „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს. 17 და 19 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ორი კონცერტი, რომლებიც ეძღვნება მამაჩემის — ნოდარ გაბუნიას ხსოვნას და დაბადებიდან 70 წლისთავს. პირველ საღამოს აჟღერდება მხოლოდ მისი ქმნილებები, მათ შორის, უკანასკნელი ნაწარმოები — საფორტეპიანო ტრიო, რომელიც ნოდარის გარდაცვალების შემდეგ შესრულდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და ყველგან დიდი წარმატება ხვდა წილად, რადგან ნამდვილად საინტერესო და ორიგინალური ქმნილებაა. ამჯერად, ამ ტრიოს ვასრულებთ მე, ცნობილი ვიოლონჩელისტი თამარ გაბარაშვილი და მაჩემის აღზრდილი ნატო წვერელი. ალბათ, ინტერესს გამოიწვევს ერთი უნიკალური ჩანაწერიც, რომელშიც ნოდარ გაბუნიას „იგავში" მღერიან ჯანსუღ და ვახტანგ კახიძეები. 19 სექტემბერს კი სცენაზე იქნებიან ნოდარის სტუდენტები, რომელთაც საღამოს სახელიც შეურჩიეს — „კლასის კონცერტის მოგონება".

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გადავუხადო მომავალი კონცერტების ყოველ მონაწილეს — თამარ გაბარაშვილს, ნატო წვერელს, ვალერიან შიუკაშვილს, მიშელინა ქობალიანს, თემურ ელიავას, მამიკონ ნახაპეტოვს, ნუცა კასრაძეს, ნინო გვეტაძეს.

საიუბილეო კონცერტი მამას, ალბათ, ძალიან გაახარებდა და ასიამოვნებდა...

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 246, ორშაბათი, 15 სექტემბერი, 2003 წელი.

## მკითხველის თხოვნით

**რედაქციამ წერილი მიიღო. თბილისელი მკითხველი გიორგი სვანიძე გვთხოვს გაზეთის საშუალებით ვუამბოთ, თუ როგორ აღდგა დამხობილი მონარქია ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის შემდეგ. როგორ განხორციელდა ეს ისტორიული პარადოქსი? — კითხულობს ბატონი გიორგი.**

**მკითხველის თხოვნის დაკმაყოფილება ვთხოვეთ ცნობილ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ პიკვაძეს.**

# დონ ხუან კარლოსი – ესპანეთის ჭეშმარიტი მეფე



1931 წლის აპრილში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო ბურბონთა დინასტიის მეფობა ესპანეთში და რესპუბლიკა გამოაცხადა. მეფე ალფონსო XIII ემიგრაციაში წავიდა და 1941 წელს იტალიაში გარდაიცვალა. უფლებები არარსებულ ტახტზე მან თავის უმცროს ვაჟს — ბარსელონის გრაფს დონ ხუანს უანდერძა. 1936-1939 წლების სისხლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ ესპანეთში, არცთუ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელშეწყობის გარეშე (რომლებისთვისაც დაუშვებლად ჩანდა კიდევ ერთი, სსრ კავშირის გარდა, სოციალისტური თუ კომუნისტური სახელმწიფოს არსებობა უკვე ევროპის დასავლეთშიც) გენერალ ფრანსისკო ბაამონტე ფრანკოს პროფაშისტური დიქტატურა დაამყარა. მან, მონარქისტთა იმედების საწინააღმდეგოდ, უარი განაცხადა მონარქიის აღდგენაზე. მაშინ დონ ხუან ბარსელონელი გაემიჯნა ამ რეჟიმს, როგორც „მიუღებელს ესპანეთის ტრადიციებისათვის".

1947 წლის ივნისში ესპანეთი მაინც სამეფოდ გამოცხადდა. მაგრამ დიქტატორმა ფრანკომ, რომლის მოქნილმა პოლიტიკამაც იხსნა ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებში ჩაბმისაგან, დაიტოვა უფლება — პირადად დაენიშნა ან მეფე, ან რეგენტი. 1947 წლის ივლისში მოსახლეობის უმრავლესობამ რეფერენდუმზე მოიწონა კანონი „სახელმწიფოს მეთაურის პოსტის მემკვიდრეობის შესახებ".

1948 წლის აგვისტოს ბოლოს ფრანკომ თავის იახტაზე მიიწვია გრაფი დონ ხუან ბარსელონელი და განუცხადა მას, რომ ესპანეთის ტახტის მემკვიდრეს არა მასში, არამედ მისი 10 წლის ვაჟში — ხუან კარლოსში ხედავს. ამასთან ერთად, მან შესთავაზა გრაფს, გაეგზავნა ვაჟიშვილი ესპანეთში — აღზრდის დასამთავრებელად „ესპანურ ტრადიციებზე".

ჭაბუკი ტახტის მემკვიდრე, რომელიც ამ დროისათვის შვეიცარიაში, ერთ-ერთ კათოლიკურ კოლეჯში სწავლობდა, უკვე კარგად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებს, საკუთრივ ესპანურის გარდა (საერთოდ, სახელმწიფო მოღვაწისათვის, თუნდაც ერთი უცხოური ენის თავისუფალი ფლობა, თუ აუცილებელი არა, უდავოდ ფრიად სასურველია).

ესპანეთში დაბრუნებისა და 24 ნოემბერს ყოვლისშემძლე დიქტატორთან შეხვედრის შემდეგ, უკვე დონ ხუან კარლოსმა, სწავლა საშუალო სკოლის პროგრამით კერძო მასწავლებლებთან განაგრძო და აღზრდის პირველი ეტაპი 1954 წელს დაასრულა. ამის შემდეგ მან დაამთავრა შეიარაღებულ ძალთა სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და საავიაციო სასწავლებლები არმიის კაპიტნის, ფლოტის ლეიტენანტისა და ავიაციის კაპიტნის ჩინებით. მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითი სინეკურა როდი იყო, ის მართლაც ნამდვილი ესპანელი ოფიცერი გახდა, საფუძვლიანი ცოდნით, რაც არაერთხელ დაამტკიცა შემდგომ. ამასთან ერთად, პრინცმა ფართო ჰუმანიტარული განათლებაც მიიღო მადრიდის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სამართლის ფაკულტეტებზე. დონ ხუან კარლოსი ხშირად ხვდებოდა გენერალსიმუს ფრანკოს, რომელიც დიდხანს ესაუბრებოდა ხოლმე პრინცს. იგი იგონებს, რომ „კაუდილიო უაღრესად თავაზიანად, ხშირად გულითადად ეპყრობოდა მას".

1969 წლის 22 ივლისს ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) წინაშე მან ფიცი დადო, როგორც სახელმწიფოს მეთაურის მემკვიდრემ მეფის რანგში. რა თქმა უნდა, ფრანკო იმედოვნებდა, რომ ამგვარად აღზრდილი პრინცი განაგრძობდა ესპანეთის მართვას მის მიერ ჩამოყალიბებული, ფრანკისტული ტრადიციებისა და კანონების ჩარჩოებში. მთელი ამ ხნის განმავლობაში სამეფო ტახტის აღიარებულ მემკვიდრეს უხდებოდა ეთამაშა ინდიფერენტული, განყენებული პიროვნების არც თუ ადვილი როლი, რამაც მას ბევრი ესპანელის თვალში ჭკუასუსტი ახალგაზრდის იმიჯი შეუქმნა. მან მალე დაამტკიცა, რომ ისინი საფუძვლიანად ცდებოდნენ.

1975 წლის 22 ნოემბერს, ფრანკოს გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, 37 წლის დონ ხუან კარლოსს კიდევ ერთხელ მოუხდა ფიცის ცერემონიის გამეორება — უკვე როგორც ესპანეთის მეფეს ხუან კარლოს პირველს.

ამდენად, ჩვენს საზოგადოებაში გამჯდარი, ხელოვნურად დანერგილი პოსტულატი, რომ უკლებლივ ყველა დიქტატორი ან პარანოიკია, ან კაცთმოძულე მხეცი, ყოველთვის როდი გვევლინება უმაღლესი რანგის ჭეშმარიტებად. ადამიანთა მოდგმის ისტორია ძალზე რთული, წინააღმდეგობებითა და პარადოქსებით აღსავსე პროცესია, რომ მასზე რაღაც აკვიატებული წარმოდგენებით ვიაზროვნოთ და არა გარკვეული, კონკრეტული ვითარებების სადი შეფასების ექსტრაპოლაციით ჩვენს აზროვნებაში, რათა მოგონილი ტრაფარეტები არ გავიხადოთ სახელმძღვანელო დოგმებად — როგორც ეს ერთ დროს გვემართებოდა ხოლმე.



თავის პირველსავე გამოსვლაში კორტესების წინაშე ახალგაზრდა მეფემ, მოულოდნელად, რამდენჯერმე გაუსვა ხაზი ტერმინს „თანხმობა", როცა გამოაცხადა, რომ „ესპანეთში დაიწყო ახალი ეტაპი თავისუფალ, თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლისა". მან კარგად იცოდა, რომ ამგვარი „მშვიდობიანი ტრანსფორმაცია" სრულიადაც არ იყო ადვილი საქმე, რადგანაც ხელისუფლების რეალურ სადავეებთან რენომირებული ორთოდოქსული ფრანკისტები იდგნენ, რომლებიც არ აპირებდნენ ფრანკისტული ტრადიციებისა და თავისი პრივილეგიების დათმობას.

უპირველესად ყოვლისა, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შედეგად, დონ ხუან კარლოსმა შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ კორტესებისა და სამეფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე (ფრანკისტული ტრადიციით, ეს პოსტები ერთ პიროვნებას ეკავა) აირჩიეს მისი აღმზრდელი და მასწავლებელი — მადრიდის უნივერსიტეტის პოლიტიკური სამართლის პროფესორი ტორკუატო ფერნანდეს-მირანდა. ახალგაზრდა მეფის მეორე დიდი მიღწევა იყო ის, რომ მან 1976 წლის ივლისში შეძლო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პოსტზე დანიშნულიყო მისი კანდიდატი — ადოლფო სუარესი. სუარესს წინა მთავრობაში ეკავა მინისტრ „ეროვნული მოძრაობის" ფრანკისტული პარტიის გენერალური მდივნის პოსტი, რამაც მას ერთგვარი ლეგიტიმურობა შესძინა ფრანკისტული ბონზების თვალში.

ორი ბრწყინვალე, მოქნილი პოლიტიკოსის დახმარებით მეფემ შეძლო 1977 წლის ზაფხულში ჩაეტარებინა რამდენიმე რეფორმა, რომლებმაც მოშალეს ფრანკიზმის დრომოჭმული სტრუქტურები და გზა გაუხსნეს დემოკრატიულ გარდაქმნებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო კანონპროექტი კონსტიტუციური რეფორმის შესახებ. ამასთან ერთად, მეფემ თითქმის დეტექტიური მისიის განხორციელებით შეძლო მიეღწია შეთანხმებისათვის ესპანეთში დაბრუნებულ კომპარტიის ლეგენდარულ ლიდერთან სანტიაგო კარილიოსთან იმის თაობაზე, რომ კომუნისტები აღარ მიმართავდნენ მანიფესტაციებსა და სხვა დესტრუქციულ ღონისძიებებს ულტრადემოკრატიული, მაგრამ მაშინდელ ვითარებაში უპერსპექტივო რეფორმების ჩასატარებლად.

1977 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერეს ე. წ. „მონკლოას პაქტს" — შეთანხმებას კორტესებში წარმოდგენილ ყველა პარტიასა და მთავრობას შორის ურთიერთდათმობების შესახებ „ეროვნული შერიგებისა" და წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის გზის გახსნის მიზნით. მომდევნო წლის დეკემბერში მიიღეს საყოველთაო რეფერენდუმზე მოწონებული დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტი, რომელმაც ტრიუმფალური აკორდით დაამთავრა ფრანკისტული დიქტატურის რეჟიმის არსებობა.

ცხადია, ძველ, „დაბეტონებულ" ფრანკისტებს სძულდათ ეს „გადახვევა", მათი აზრით ერთადერთი სწორი გზიდან. 1981 წლის 23 თებერვალს არმიის კონსერვატიულმა ოფიცრებმა ფრანკისტული რეჟიმის გადასარჩენად უკანასკნელ ხერხს მიმართეს — სამხედრო პუტჩს. პარლამენტში შეჭრილმა ჟანდარმებმა ვიცე-პოლკოვნიკ ტეჰეროს მეთაურობით 350 დეპუტატი და მინისტრი „დააპატიმრეს". სწორედ აქ მკაფიოდ იჩინა თავი დონ ხუან კარლოსის ნებისყოფამ, გამბედაობამ და სამხედრო აღზრდის მნიშვნელობამ — სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა მეფემ, როგორც ქვეყნის უმაღლესმა სარდალმა, ღამით ტელევიზიის ეკრანიდან აუწყა ესპანელ ერს, რომ მან ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ უბრძანა დაეცვათ კონსტიტუციური წესრიგი, რომ მონარქია კატეგორიული იქნება და არავის მხრიდან არ დაუშვებს დემოკრატიზაციის პროცესის ხელყოფას.

ხოსე ლუის დე ვილალიონგა, მარკიზი დე კასტელველი თავის უაღრესად საინტერესო წიგნში „მეფე, საუბრები ესპანეთის მეფე დონ ხუან კარლოს I-თან", წერს, რომ იმ დამიდან „მილიონობით ესპანელისათვის დონ ხუან კარლოსი აღარ იყო გენერალ ფრანკოს მიერ დანიშნული მემკვიდრე „მეფის რანგში". ის უკვე ესპანეთის ჭეშმარიტი მეფე გახდა".

ხალხისა და ლოიალური შეიარაღებული ძალების მხარდაჭერამ უზრუნველყო დემოკრატიული გარდაქმნების უპირობო მხარდაჭერა და პუტჩი სამარცხვინოდ ჩაიშალა. ესპანეთი განუხრელად დაადგა დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური აღმავლობის გზას ახალგაზრდა, ყოველმხრივ განათლებული, თავდაჭერილი და შესანიშნავი მეოჯახე მონარქის — დონ ხუან კარლოს მეთაურობით, რომელსაც მხარს უმშვენებს ასევე განათლებული, სათნო და უაღრესად სიმპათიური დედოფალი — დონნა სოფია, საბერძნეთის უკანასკნელი მეფის კონსტანტინეს და.

**ნოდარ პიკვაძე,**
**პროფესორი.**

## მსოფლიო შტრიხებში

# ესეც გაფიცვაა?!

**იმ დღეს ათენელები უჩვეულო გაფიცვის მოწმენი გახდნენ. 150 მეძავი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში პროტესტით ახალი წესების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც რეგლამენტირებულია საროსკიპოების მუშაობა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების დღეებში. ის დაწესებულებები, რომლებიც სტანდარტებს არ შეესაბამება, დაიკეტება. ამას გარდა, სექს-მომსახურების საწარმოები საკმაო მანძილით უნდა იყოს დაშორებული ეკლესიების, სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან: ხელისუფლებას ასეთ მანძილად 200 მეტრი მიაჩნია.**

**ბერძენმა მეძავებმა, ბევრ მათგანს კი საკუთარი ადვოკატი ჰყავს, იციან, რომ მუნიციპალური ხელისუფლების ინიციატივამ, შეიძლება, დიდი ზარალი მიაყენოს მათ ბიზნესს. საროსკიპოების დაკეტვის შემთხვევაში ბევრი მათგანი ქუჩაში გამოვა და მაშინ მათი გაკონტროლება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება.**

# მარათონი ... ცხვირით



**ასეთი უჩვეულო მარათონი დაიწყო ბრიტანელმა მსახიობმა მარკ მაკგოუენმა. ის ლონდონის ქუჩებში მიწის თხილს მიაჩოჩებს ფინიშისაკენ.**

**ამით მაკგოუენს უნდა, ბრიტანეთის მთავრობა აიძულოს სტუდენტებისათვის სწავლის ქირის ვალის ჩამოწერა. ეს პირველი საპროტესტო დემონსტრაცია არ არის მსახიობისათვის. ადრე ის მორს მიაგორებდა და მოითხოვდა მეეზოვეების შრომის დაფასებას, შემდეგ თავზე ინდაური დაისვა და უკანსვლით დაიწყო გასუქების წინააღმდეგ „ბრძოლა" და ა. შ.**

**მისი მარათონელი ხოხვის სიგრძეა 11 კილომეტრი, დღეში ერთ კილომეტრზე მეტს ვერ გადის. რასაკვირველია, თავისი ექსცენტრული პროტესტის შესახებ აცნობა პოლიციასაც, რათა თავიდან აიცილოს „საცობები".**

**მაკგოუენის თქმით, მან შეიმუშავა გადაადგილების უჩვეულო ხერხი: „ცხვირი ვერტიკალურად მიჭირავს, შემდეგ თავს ვაქანებ და ცხვირს მიწის თხილს ვურტყამ, როგორც გოლფის თამაშის დროს".**

**ის იმედოვნებს, რომ ეს აქცია მთავრობის ყურადღებას მიიპყრობს და ხელს შეუწყობს სტუდენტთა ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას. მარათონის დაწყების წინ მან წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს თხოვნით, ჩამოაწერონ მისი პირადი ვალი — 14 ათასი გირვანქა სტერლინგი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 246, ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2003 წელი.

ახალი თარგმანი

პაულო კოელიო

# მეხუთე მთა

ეძღვნება ა. მ., სინათლის მხედარს, და მაურო სალესს

* * *

ჩემი მხარდაჭერა სილაჩრით გადამისადე, — უთხრა ნაცვალმა. — რა უნდა გიყოს კაცმა?

— მე წუთსაც არ ვიცოცხლებ იმაზე მეტს, რაც ღმერთს უნდა, — მიუგო ილიამ. — მაგრამ ეს ოდენ ღმერთის გადასაწყვეტია.

ნაცვალი გააოგნა ილიას გაბედულებამ.

— მე შემიძლია, რომ ახლავ მოვაკვეთინო შენთვის თავი. ან ვბრძანებ და სულ შუკა-შუკა გათრევენ, თან იმასებენ, რომ შენ შეაჩვენე და დაწყევლე ჩვენი ქალაქი. — თქვა მან, — და ვერცრას გახდება შენი ერთიანი ღმერთი.

— გარდაუვალი უნდა მოხდეს. მაგრამ მაინც გეტყვი, რომ არ დავმალულვარ, იცოდე. მხედართუფროსის ჯარისკაცებმა გზა გადამიღობეს. მხედართუფროსს ომი უნდა და ყველაფერს იზამს ომის დასაწყებად.

ნაცვალმა გადაწყვიტა, რომ დრო აღარ დაეკარგა უსარგებლო ლაპარაკზე. ისრაელელი წინასწარმეტყველისთვის თავისი გეგმის ახსნა იზრახა.

— ომს სულაც მხედართუფროსი არ ეხწრაფვის. როგორც სამხედრო საქმეში გამოცდილ კაცს კარგად ესმის, რომ მაგისი ჯარი რიცხობრივადაც და გამოცდილებითაც ტოლს ვერ უდებს მტრისას და კუდით ქვას ასროლინებენ. როგორც ღირსებიანმა კაცმა, ისიც იცის, რომ ამ თავისი საქციელით შთამომავლობასაც შეარცხვენს. მაგრამ ამპარტავნობისგან და პატივმოყვარეობისგან გული აქვს გასასტიკებული. მაგას ჰგონია, მტერი დამფრთხალიაო. ის კი არ იცის, რომ ასირიელნი მეომარნი კარგად არიან გაწვრთნილნი. ეგენი როგორც კი სამხედრო სამსახურს იწყებენ, უწინარესად ხესა რგავენ. მერმე დგანან და იმ ნერგს ყოველდღიურად თავს ასტებიან, გადაასტებიან და გადმოასტებიან ხოლმე. ნერგი იზრდება, შიმელავდება, ეგენი მაინც ახტებიან. ნერგი ერთხელაც ხედ იქცევა, ეგენი მაინც არ იშლიან ხტომას. ეს ამბავი სულაც არ ბეზრდებათ, დროის ფუჭ კარგვად არ მიაჩნიათ. თანდათან ხე ტანს იერის და მაგათაც უფრო მაღალზე უხდებათ ხტომა, ეგენი გულდაგულ და მოთმინებით ემზადებიან დაბრკოლებებისთვის.

ეგენი ჩვეულებრივ კარგად იცნობენ მოწინააღმდეგეს. ჩვენ უკვე არა ერთი და ორი თვე გვადევნებენ თვალყურს.

ილიამ სიტყვა შეაწყვეტინა ნაცვალს.

— მერედა, ვის ესელსაერელება ომი?

— ვისა და, ქურუმს. ასირიელ ტყვევნილს რომ ვასამართლებდით, მაშინ მივხვდი.

— რისთვის უნდა სჭირდებოდეს?

— არ ვიცი. მაგრამ მალიან მარჯვედ კი დაარწმუნა მხედართუფროსიც და ხალხიც, ომია საჭიროო. მთელი ქალაქი ახლა მაგის მხარეზეა და ამ რთული მდგომარეობიდან მხოლოდ ერთ გამოსავალსა ვხედავ.

ნაცვალი კარგა ხანს დადუმდა და უცებ თვალებში ჩახედა ისრაელელს:

— ის გამოსავალი შენა ხარ.

ნაცვალი წინ და უკან სიარულს მოჰყვა. თან სწრაფად ლაპარაკობდა და ხმაში მღელვარება ეტყობოდა.

— ვაჭრებიც ეხწრაფიან მშვიდობას, მაგრამ მაგათ არცრა შეუძლიათ. თანაც უკვე საკმარისად გამდიდრებულები არიან და სულაც სხვა ქალაქში გადასახლდებიან ან არადა დაიცდიან, სანამ დამპყრობლები მაგათი საქონლის შეძენას დაიწყებენ. დანარჩენს ჭკუა აქვთ დაკარგული და მოითხოვენ, რომ მტრის გაცილებით მრავალრიცხოვან ჯარს შევუტიოთ. მაგათი გადარწმუნება მხოლოდ სასწაულს მალუძს.

ილიამ ყურები ცქვიტა.

— სასწაულს?

— შენ მკვდრეთით აღადგინე ბიჭი, რომელიც უკვე სულეთს იყო. შენ ამ ხალხს თავისი გზა აპოვნინე და, თუმცაღა უცხოქვეყნელი ხარ, ყველას უყვარხარ.

— ამ დილამდე მართლაც ეგრე იყო, — უთხრა ილიამ, — მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, ვინც კი მშვიდობას ითხოვს, სუყველას მოღალატედ შერაცხავენ.

— მშვიდობა მოითხოვე-მეთქი, არ გეუბნები. მე მინდა, რომ შენ დიდი რამ სასწაული მოახდინო, ისეთი, როგორიც ბიჭის გაცოცხლება იყო. მაშინ ხალხს თამამად ეტყვი, ერთადერთი, რაც დაგრჩენიათ, მშვიდობააო, და ისინიც გაგიგონებენ. ქურუმი კი მთლიანად დაკარგავს თავის მალაუფლებას.

ცოტა ხანს ორივე გაჩუმდა. ნაცვალმა განაგრძო:

— მინდა, რომ მოგელაპარაკო. თუ იმას იზამ, რისი მთხოვნელიც ვარ, აქბარში ერთიანი ღმერთის რწმენა დამკვიდრდება. შენ იმისთვის სასურველ საქმეს აღასრულებ, ვისაც მსახურებ, მე კი სამშვიდო პირობებზე მოლაპარაკებას შევძლებ.

* * *

შინ რომ მივიდა, ილიამ თავის სადგომს მიაშურა. თუ რამ მოსახდენი სასწაულია, ამხელად ის უნდა მოახდინოს, რაც არც ერთი წინასწარმეტყველისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა — ფინიკიური ქალაქი ისრაელურ სარწმუნოებაზე უნდა მოაქციოს. მერმე ნახოს იზებელმა, რა მეხი და მედგარიც დაეცემა, ეს იქნება ყველა იმ ბოროტების საზღაური, რაც იმას ილიას ქვეყნისთვის ექნა.

ნაცვლის წინადადებამ მოსვენება დაუკარგა ილიას. ის იყო უნდა გაეღვიძებინა ქვრივი, რომელსაც ქვემოთ ეძინა, მაგრამ გადაიფიქრა, ვინ უწყის, იქნებ სულაც ის ტკბილი საღამო ესიზმრებოდა, ერთად რომ გაატარეს.

მან უხმო თავის ანგელოზს და ისიც გამოეცხადა.

— ნაცვალის წინადადებას გაიგონებდი, — უთხრა ილიამ. — ეგ ერთადერთი საშუალებაა.

— ქვეყნად არცრაა, რომ ერთადერთი საშუალება იყოს, — მიუგო ანგელოზმა. — უფალი ადამიანისშვილთ მრავალ საშუალებას რასმე მიუზომებს. თვინიერ ამისა, გახსოვდეს, რაც იყო თქმული: შენ მანამ ვერ შეიძლებ ახალ სასწაულთა მოხდენას, სანამ მშობლიური მიწა-წყლის წიაღს არ დაუბრუნდები.

ილიამ თავი ჩაქინდრა. იმწამს გაჩნდა უფლისა ანგელოზი, და მფარველი ანგელოზი გაფრინდა. და წართქვა უფლისა ანგელოზმა:

„აი შე ნი შე მდგო მი სა სწა უ ლი: მთელ ხალხს მთი სა მი რას შეკ რებ. მთი სა ერთ მხა რეს ბაა ლი სთვის სა-ზორ-ველ სა აა გე ბი ნებ, მია ეგა ნი- ნებ ზორ ვად ზვა რაკს და დაა ზორ-ვი ნებ. მეო რე მხა რე სა შენ თა ვად აა გებ სამ სხვერ პლო სა. შე ნი უფა-ლი ღმერ თი სა გუ ლის თვის და შეს-წი რავ აგ რეთ ვე ზვა რაკსა.

და ეტყე ვი ბა ა ლის წი ნას წარ მეტყველთ: უხ მე ო ღმერ თ სა თქვენ სა, მე კი ჩემ სა უფალ სა ღმერთ სა ვუხმობ თქო. ჯე რეთ იმათ ახ მო ბი ნე თა ვიან თი ღმერთი სთვის, დიამც ილო ცონ და დი ლი დან შუა დღემ დის მოუ წო დებ დნენ ბა ალს, რა თა დაე შვას და შე ი წი როს მღვე ნი.

ისი ნი ბევრ სა ის მამ ეი ვა რე ბენ, თავ სა შუ ბე ბით დაი ჩხვლე ტენ და ბევრ საც ი მუ დარ ე ბენ, რა თა ღმერ თმა შეუ წიროს ზვა რა კი, მაგ რამ არც რა მოხ დე ბა.

და ი ქან ცე ბიან, ოთ ხი ტა გან წყალ სა მიი ტან და ზვა რაკ სა გადა ა სხამ. მერ მე კი დევ გა ი მე ორებ და იმას ვე იზამ მე სა მე დაც. და ეტყვი უ ფალ სა ღმერ თსა აბრა ა მი სა, ი სა ა კი სა და ის რა ე ლი სა, რა თა ეო ველ თა კაცთ მოუვ ლი ნოს მან მა ლა თვი სი.

იმ წამს ციდ გა ჩნდე ბა ცეც ხლი უფ ლი სა და შთან თქამ საკ ვერ თხსა, ანუ მრგვა ლად და საწ ველ შე სა წირავ სა“.

ილია მუხლებზე დაეცა და ქება აღუვლინა უფალს.

— ოღონდ ამ სასწაულისა სიცოცხლეში ოდენ ერთხელ შეიძლება მოხდენა, — განაგრძობდა ანგელოზი, — აირჩიე, სად გინდა, რომ მოახდინო, აქ, აქბარში, რათა ამ ქალაქს ომი აარიდო თავიდან, თუ იქ, შენს მიწა-წყალზე, რათა იზებელისგან იხსნა შენი ხალხი.

და უფლისა ანგელოზი გაქრა.

* * *

ქვრივმა ადრე გაიღვიძა და დაინახა, რომ ილია სახლის ზღურბლზე იჯდა. თვალები ჩაღამებოდა, თითქოს მთელი ღამის უძინარიაო.

ქალმა კითხვა დააპირა, ხომ არაფერი მომხდარა წუხელო, მაგრამ პასუხის გაგონება აშინებდა. იქნებ ნაცვალთან ლაპარაკი და ომის საშიშროება ექცა უძილო ღამის მიზეზად, ან იქნებ სულაც ის თისის ფირფიტაა მიზეზი, გუშინ რომ აჩუქა. თუ ასეა, მაშინ ადვილშესაძლოა, რომ პასუხად მოესმას: ქალის სიყვარული ღვთიურ ჩანაფიქრს ვერ ეწყობაო.

— ცოტა შეჭამე რამე, — ერთადერთი ეს იყო, რის თქმაც ქალმა მოახერხა.

ამასობაში ბიჭმაც გაიღვიძა. ტაბლას სამივენი მიუსხდნენ და წაიხემსეს.

— გუშინ მინდოდა შენთან დარჩენა, მაგრამ ნაცვალმა ჩემთან ლაპარაკი მოინდომა, — უთხრა ილიამ.

— ნაცვალი ნუ გაფიქრებს, — თქვა ქალმა და იგრძნო, რომ გულზე რაღაც მოეშვა. — მაგათი გვარი უკვე საუკუნეობით მართავს აქბარს და უნდა იცოდეს, რაც უნდა ქნას საშიშროების ჟამს.

— ანგელოზს კიდევ ველაპარაკე. მალზე მნელი საქმის ქმნა მოითხოვა ჩემგან.

— არ იღელვო მაგ ანგელოზების გულისთვის. იქნებ სულაც გვერწმუნა, რომ ჟამითი ჟამად ღმერთები ერთმანეთსა ცვლიან. ჩემი წინაპრები ეგვიპტურ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ, რომელნიც პირუტყვთა მსგავსებისანი იყვნენ. ის ღმერთები წავიდნენ და სანამ შენ არ გამოჩნდი, სხვებივით მეც იშთარს, ილოსს, ბაალს და მეხუთე მთისა სხვა ბინადართ ვუზორავდი. აწ უფალი შევიცანი, მაგრამ ოდესმე ეგებ ამანაც დაგვიტეოს, ახალი ღმერთნი კი იქნებ აგრე მკაცრნიც არ იყვნენ.

ბიჭს წყალი მოსწყურდა, მაგრამ შინ წყალი არ ედგათ.

— წავალ, მოვიტან, — თქვა ილიამ.

— მეც წამოგყვები, რა, — ყელგამოწევით შეეხვეწა ბიჭი.

ორივენი ჭაზე წავიდნენ. გზად იმ ადგილას გაიარეს, სადაც მხედართუფროსი დილიდანვე თავის მეომართ წვრთნიდა.

— ცოტა ხანს ვუყუროთ, რა, — უთხრა ბიჭმა. — რო გავიზრდები, მეც მეომარი უნდა გამოვიდე.

ილია დაჰყვა ბიჭის თხოვნას.

— ჩვენ შორის ყველაზე უკეთესად მახვილს ვინა ხმარობს? — კითხულობდა ერთ-ერთი მეომარი.

— იქ წადი, სადაც გუშინ მსტოვარი ჩააქვავეს, — უთხრა მხედართუფროსმა. — ერთი კარგი მოზრდილი ქვა იპოვე და შეურაცხყავე, შელახე.

— ეგ რა საკადრისია? ქვას საპასუხო არცრა მალუძს.

— მე სხვა რამ ვიკითხე. მე იმის გაგება მწადს, ყველაზე უკეთესად მახვილს ვინა ხმარობს?

— ვინა და, ვინც ქვასავით მაგარია. — მიუგო მხედართუფროსმა. — ქვასავით მაგარი მახვილის გაუშიშვლებლადაც დაამტკიცებს, რომ იმისი მომრევი არავინ არის.

„ნაცვალი მართალია: მხედართუფროსი ჭკვიანი კაცია, — გაიფიქრა ილიამ. — ოღონდ სადაც პატივმოყვარეობა ელავს, იქ სიბრძნე ჩრდილშია“.




* * *

ისინი კვლავ გზას გაუყვნენ. ბიჭმა ჰკითხა, მეომარნი აგრე გულდაგულ რატომ იწვრთნიან თავსაო.

— მარტო მეომარნი კი არ იწვრთნიან, დედაშენიც იწვრთნის, მეც და ყველანი იწვრთნიან, ვისაც თავისი გულისხმა ეყურება. ცხოვრებაში ყველაფრის მუყაითად სწავლა აუცილებელია.

— თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარმეტყველი გამოხვიდე?

— თუნდაც იმიტომ, რომ ანგელოზებს უგებდე. ჩვენ იმათ ისე ველაპარაკებით, იმათი სიტყვები არ გვესმის. ყურის დაგდება ადვილი არ არის. ჩვენს ლოცვებში მუდამ ჩვენი შეცდომების მონანიება გვინდა, რაღაცის თხოვნა გვინდა... მაგრამ უფალმა ყველაფერი უწყის და ჟამ-ჟამად უბრალოდ გვახმენინებს, რას მეტყველებს სოფელ-ქვეყანა. და მოთმინებას გვავალებს.

ბიჭი გაოგნებული შესცქეროდა. ის, ალბათ, ვერცრას იგებდა, მაგრამ ილია გრძნობდა, რომ მაინც უნდა განეგრძო საუბარი. იქნებ მერმე, როცა გაიზრდებოდა, ერთ-ერთი აწ თქმული სიტყვა ოდესმე წასდგომოდა კიდეც.

— ბრძოლა ცხოვრებაში იმისთვის არის საჭირო, რომ რამე გვასწავლოს. გინდაც სან წავაგოთ და დავმარცხდეთ. როცა დიდი გახდები, მიხვდები, რომ ცრუ იდეებს იცავდი, თავს იტყუებდი ანდა რაღაც ჩალად საღირალისა გულისთვის იტანჯებოდი. თუ კარგი მეომარი გამოხვალ, ამ შეცდომებს შენს თავს არ დააბრალებ და საკვლაოდ იმარჯვებ, ყველა ღონეს იღონებ, რათა არც ერთი ის შეცდომა არ განმეორდეს.

ორივენი გაჩუმდნენ. ბავშვისთვის მალიან მნელია ასეთი სიტყვების გაგება, და არც გაეგება. ისინი ნელა მიდიოდნენ. ილიას სიამოვნებდა აქ, ამ ვიწრო შუკებში სიარული და გულში ემადლიერებოდა ქალაქს, რომელმაც ოდესღაც შეიფარა, ქალაქს, რომელიც მალე აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, თუ ის სწორად არ გადაწყვეტდა თავის გადასაწყვეტს.

აქბარი ჩვეულებრივზე უფრო მეტ მეუდროებას მოეცა. მთავარ მოედანზე ადამიანები ისე ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, თითქოს შიშობდნენ, ქარმა ჩვენი სიტყვები ემანდ ასირიელთა ბანაკში არ მიიტანოსო. ბერიკაცნი ირწმუნებოდნენ არც არაფერი მოხდებაო, ემაწვილნი მომავალ საგრობას აეღელვებინა, ვაჭრები და ხელოსნები ტვიროსსა და სიდონში გადასვლას ეპირებოდნენ, სანამ აქ მდგომარეობა არ ჩაწყნარდებოდა. პირდაპირ ლაპარაკობდნენ, არც მალავდნენ.

„მაგათ რა უჭირთ, ადგებიან და წავლენ, — გაიფიქრა ილიამ. — ვაჭრებს დედამიწის ზურგზე სადაც უნდათ, იქ გადაიტანენ თავიანთ ავლადიდებას. ხელოსნებსაც არსად გაუჭირდებათ, იქაც კარგად იმუშავებენ, სადაც ხალხი სხვა ენაზე ლაპარაკობს. მე კი უფლისა დასტური მინდა“.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 234-245.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეფორმა

# ხელი გავუხსნათ მცირე მეწარმეს

## მაშინ ჩრდილოვან ეკონომიკასაც მოევლება

27 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ბატონ ბონდო ზარნაძის ინტერვიუ „კონტრაბანდის ფილოსოფია“, რომელმაც სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მცირე მეწარმეობის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების თაობაზე პრეზიდენტის რეაგირება ძალიან ოპერატიული და იმედის მომცემი იყო. № 4228 განკარგულება ავალდებულებდა ბატონებს გ. გაჩეჩილაძეს, მ. გოგიაშვილს, რ. გილიგაშვილს, რათა ოპერატიულად განეხილათ აღნიშნული საკითხი და ორი კვირის ვადაში წარმოედგინათ წინადადებები, ხოლო ბატონ გ. ისაკაძეს ჩემთან ერთად განეხილა იგი.

როგორც ჩანს, პრეზიდენტის ამ განკარგულების შესრულება აყვანილია მკაცრ კონტროლზე, რადგან ერთი კვირის შემდეგ, 7 აგვისტოს, ჩემი მონაწილეობით ეკონომიკის სამინისტროში მოეწყო სამუშაო შეხვედრა. ხუთი წლის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მთავრობაში შეტანილი წინადადებების განხილვას მათი ავტორიც დაასწრეს. თითქმის სამი საათი მიმდინარეობდა კამათი მინისტრის პირველი მოადგილის ქალბატონი ნათია თურნავას კაბინეტში სამინისტროს წამყვან სპეციალისტებთან. ქალბატონი ნათიას მაღალპროფესიული, ტაქტიანი ჩარევებითა და დიდი მცდელობის შედეგად ჩემი წინადადება მიიღეს.

ყოველივე ეს მაძლევს დიდ იმედს, რომ როცა პრეზიდენტთან მოეწყობა განხილვა და მომეცემა სიტყვა, პრეზიდენტს დავარწმუნებ ამ პაკეტის სასწრაფოდ მიღების აუცილებლობაში. ჩვენ ისედაც დიდი დრო დავკარგეთ და ახლა, უბრალოდ, ამის მორალური უფლებაც აღარ გვაქვს.

დამუშავებულია, აგრეთვე, კანონპროექტი მცირე მეწარმეობის შესახებ პროდუქციის მწარმოებელი დამწყები მცირე მეწარმეებისათვის. იგი ეფუძნება მცირე საწარმოებისათვის საგადასახადო ტარიფის თანდათანობით გაზრდის 7-წლიან შეღავათიან ფრანგულ მოდელს, სადაც ყველაზე დიდი შეღავათები გათვალისწინებულია პირველ 4 წელიწადს.

5 წელია ეს კანონპროექტი შეტანილია პარლამენტსა და მთავრობაში და მისი მიღება შეიძლებოდა ნებისმიერ დროს, რადგან ის ეხება მხოლოდ დამწყებ მცირე მეწარმეებს და არავითარ საშიშროებას არ უქმნის საბიუჯეტო შემოსავლებს. ერთი მცირე მეწარმე ერთდროულად დამატებით ასაქმებს არასამეწარმეო სფეროს 3 მცირე მეწარმეს, ამიტომ რაც უნდა უდიდესი შეღავათები მივცეთ (გადასახადებისაგან საერთოდ გათავისუფლებაც კი), ბიუჯეტში შემოსავლები მაინც გაიზრდება იმ 3 მცირე მეწარმის საქმიანობიდან, თანაც ფორმულა 1-3 მოსახლეობის დასაქმების ყველაზე უებარი წამალია. სწორედ ამიტომაც 5 წლის განმავლობაში ამ კანონპროექტის არმიღება ქვეყნისთვის დიდი დანაშაულია.

ყველა რეფორმა, მით უმეტეს, ისეთი ფუნდამენტური, როგორიც არის ლეგალური მცირე მეწარმეობის კარდინალური რეფორმირება, მოითხოვს სოლიდურ ფინანსირებას, სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და მცირე მეწარმეობის განვითარების ორი ცალკეული პროგრამის გაერთიანებას ერთ საერთო პროგრამად 141 მილიონი დოლარის დაფინანსებით.

ამ ორი პროგრამის გაერთიანების შესახებ 2001 წელს მივწერე მთავრობას, ბატონ გიორგი ისაკაძესთანაც გვქონდა რიგი შეხვედრები, თითქოს წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა და ახლა მაინც უნდა დაადგეს საშველი.

დაფინანსების მეორე მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს მცირე მეწარმეობიდან ბიუჯეტში დამატებით მობილიზებული თანხების პროცენტის დატოვება მცირე მეწარმეთათვის, საიდანაც 5 პროცენტი მოხმარდება ცენტრალური და რეგიონული სტრუქტურების ფინანსურ უზრუნველყოფას, ხოლო 10 პროცენტი — მცირე მეწარმეთა ბანკის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

ასეთია მცირე მეწარმეობით ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციისა და სიღარიბის დაძლევის მთელი ფილოსოფია, მაგრამ მაინც რა დიალექტიკური კავშირებია მათ შორის?

მოვუსმინოთ მსოფლიო ბანკის ექსპერტებს: საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკა აღწევს 70 პროცენტს. ყოველწლიურად მაკონტროლებლები მეწარმეებისაგან ქრთამის სახით იღებენ 500 მილიონ დოლარს. რა დგას ამ მშრალი ციფრების მიღმა?

თუ ქვეყანაში ჩრდილშია ეკონომიკის 70 პროცენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრია მხოლოდ ეკონომიკის 30 პროცენტი, რომლის დროსაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დაახლოებით 7 მილიარდი ლარია, ე. ი. ჩრდილშია 14 მილიარდ ლარზე მეტი მშპ, რომლის ერთი პროცენტის გათეთრებით მშპ-ს ზრდა იქნება 140 მილიონი ლარი, რაც შეადგენს ჩვენი დღევანდელი მშპ-ის 2 პროცენტს, ანუ ზრდის ტემპი იქნება 2 პროცენტი.

ამრიგად, ქვეყანას აქვს უზარმაზარი რეზერვი — ბიზნესის გათეთრებით შეიძლება მშპ გაიზარდოს 200 პროცენტით!

ბოლო წლებში საქართველოში მშპ-ის კლება გამოიწვია საგადასახადო ტარიფების განუწყვეტელმა ზრდამ. ამ დამანგრეველ ტენდენციას კი საფუძველი ჩაუყარა 1997 წელს მიღებულმა კრიმინალურმა საგადასახადო კოდექსმა, რომელმაც მსხვილი და მცირე მეწარმეთა საგადასახადო ტარიფების გათანაბრებით გაანადგურა ლეგალური მცირე მეწარმეობა, რაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება და ეკონომიკური ნონსენსია.

ეკონომიკისა და, განსაკუთრებით, ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომლებიც დღესაც აგრძელებენ ჩვენი მეწარმეობისა და ეკონომიკის დამანგრეველ ასეთ პოლიტიკას, ვურჩევთ, კარგად წაიკითხონ 2002 წელს ქართულ ენაზე გამოცემული, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი ეკონომიკური მრჩევლის ბატონი ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნი „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ თუ მეწარმეებს გაეზრდებათ გადასახადები 10 პროცენტით, ქვეყნის მშპ შემცირდება 4 პროცენტით.

ეს ძირითადად ხდება მეწარმეთა ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლის გამო. ჩვენ კი ახლა დაგვრჩა უკუგზა — მეწარმეთა ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოყვანით მშპ-ის გაზრდა, სადაც ასევე გვექნება უკუპროპორცია — მეწარმეთა ბიზნესის 2 პროცენტის გათეთრებით მშპ გაიზრდება... 8 პროცენტით.

ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოყვანისა და ასეთი უდიდესი ეკონომიკური ეფექტის მიღების მსოფლიოში აპრობირებული ერთადერთი გზაა გადასახადების სწორი ოპტიმიზაცია, რომელიც გულისხმობს გადასახადების როგორც გაზრდას, უფრო ხშირად — შემცირებას. ჩვენი ეკონომიკის ბოსები კი რატომღაც ყოველთვის ირჩევენ მხოლოდ გაზრდას.

მცირე მეწარმეობის კარდინალური რეფორმირებით მცირე მეწარმეობაში შესაძლებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის 90 პროცენტამდე გათეთრება, რაც ქვეყნის გადარჩენის ტოლფასი იქნება, რადგან ბიუჯეტში დამატებით შევა 2 მილიარდამდე ლარი და მინიმამუმდე შემცირდება მცირე მეწარმეობაში დღეს არსებული ტოტალური კორუფცია.

ამ ტოტალურ კორუფციას კი მცირე მეწარმეობაში ამკვიდრებს ჩვენი კრიმინალური საგადასახადო კოდექსი, წარმოუდგენლად მაღალმა გადასახადებმა დამნაშავე-კრიმინალებად აქცია მილიონზე მეტი მცირე მეწარმე, რადგან ისინი იძულებულნი არიან დამალონ გადასახადები, გადავიდნენ ჩრდილში და ამისათვის ყოველწლიურად გადაიხადონ 2 მილიარდამდე ქრთამი. დღეს მთელი საქართველო კრიმინალია — ან იხდის, ან იღებს ქრთამს. ეს კი დაამკვიდრა ჩვენმა საგადასახადო კოდექსმა და სწორედ ამიტომაც არის ის კრიმინალური.

ამრიგად, საგადასახადო პოლიტიკას, ჩრდილოვან ეკონომიკასა და კორუფციას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული რეფორმირებით, რომელიც ეფუძნება მცირე მეწარმეობაში გონივრული ოპტიმიზაციით გათვლილი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადების დამკვიდრების პოლიტიკას, აუცილებლად დავძლევთ ჩრდილოვან ეკონომიკასა და, შესაბამისად, კორუფციას.

**ანზორ საკანდელიძე,**
საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე.

ტრანსპორტი

# „მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ

## და ჩვენი წინადადებაც კვლავ ძალაშია!“

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმდინარე წლის 5 იანვარს გამოქვეყნდა შპს „პრესა-იალონის“ დირექტორისა და მთავარი რედაქტორის, მწერალ მურად ჭანტურიას წერილი „ექსპერიმენტი ჩვენგან დავიწყოთ“ („მოსაზრებები მგზავრთა გადაყვანის სფეროში არსებული ნაკლოვანებების დაძლევის თაობაზე“). წერილი რედაქციამაც ფრიად აქტუალურად ჩათვალა და შესაბამისი სარედაქციო მინაწერითაც გამოაქვეყნა.**

**გარკვეული დრო რომ გავიდა, გადავწყვიტე, ჯვარში ჩავსულიყავი და გამეგო, რა სასიკეთო რეაქცია მოჰყვა ამ წერილს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან. მურად ჭანტურიამ, ტელეფონზე, რაღაც-რაღაცეების მომიზეზებით, რამდენჯერმე გადამიდო შეხვედრა. გულმა აღარ მომითმინა და „დაუკითხავად“ თვითონ ჩავაკითხე ორჯერ (ერთხელ — ტრანსპორტის სამსახურის სამხარეო სამმართველოს უფროსთან ბ-ნ დავით ხუბუასთან ერთად). მეორედ ჩასვლისას კი გამოირკვა, რომ მურად ჭანტურია... საერთოდ გადამდგარა შპს-ს დირექტორის თანამდებობიდან (და, მგონი, გადადგომების რეკორდიც დაამყარა საქართველოში: ადრე, სხვადასხვა დროს, გადადგა ქალაქის საკრებულოს სპიკერის, ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის, ალმანახ „ეგრისის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობებიდან). საუბარი „შემოვლით“ დავიწყე:**

**— რატომ გადადექით დირექტორის თანამდებობიდან. პროტესტის ნიშნად თუ რამე შემოქმედებით გეგმებს უკავშირდება?**

— ნათქვამია, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო...“ ეს ნახევრად ხუმრობით. უფრო სერიოზულად კი: ყველა საქმეში, რასაც ხელს მოვკიდებ, ნამდვილი პროფესიონალიზმის მომხრე ვარ. დილეტანტიზმი ნებისმიერ საქმეს ღუპავს. ოღონდ, ამას ხაზს ვუსვამ: პროფესიონალიზმში მე დიპლომს ან რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის (თუნდაც საზღვარგარეთულის, პრესტიჟულის) დამთავრებას არ ვგულისხმობ. არადა, საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი ფიქრობს ასე და ესეც დილეტანტიზმია! **პროფესიონალიზმი, პირველ რიგში, ეს არის საქმისადმი მიდგომის წესი, ფორმა, მეთოდი, სტილი!**

როცა ამ 8-9 წლის წინათ ქალაქის მაშინდელი გამგებლის ინიციატივით ჩვენს რედაქციას შეხების წერტილები გაუჩნდა მგზავრთა გადაყვანის სფეროსთან, თქვენ გახსოვთ, რითი დავიწყეთ: ავდექით და, მათი მუშაობისა და გამოცდილების გაცნობის მიზნით, მოვიარეთ რეგიონის თითქმის ყველა შესაბამისი საწარმო. თბილისშიც კი გავეცანით რამდენიმე ავტოსადგურის და საწარმოს მუშაობას. სათანადო ნორმატიული ბაზის შესწავლის მიზნით მაშინდელ ტრანსპორტის სამინისტროსა და დეპარტამენტსაც ვეწვიეთ. შემდეგ ნანახიცა და მოპოვებული მასალებიც გავაანალიზეთ, მაშინდელ სიტუაციას მივუსადაგეთ და იმ ქაოსის პირობებშიც კი მშვენივრად ავაწყვეთ მუშაობა. მადლიერებით ვიხსენებ მაშინდელ თქვენს წერილს — „ჯვარული ექსპერიმენტი — იქნებ ღირს ამაზე დაფიქრება?“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის არაერთგზის თანადგომას.

**— მერე რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ შეიქმნა საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა, რომლის ზოგიერთი ასპექტი, ჩემი აზრით, ძალზე შორს დგას არა მარტო რეალობიდან, ჩვეულებრივი ლოგიკიდანაც კი.

**— ხომ არ დააკონკრეტებთ?**

— ჩემი მოსაზრებები მე მკაფიოდ ჩამოვაყალიბე თქვენს მიერ მოხმობილ, 5 იანვარს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში. ამჯერად ერთ-ერთ, ყველაზე უმთავრესს გავიმეორებ. მას შემდეგ, რაც დღევანდელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზით ავტოსადგურებს (ავტოსალაროებს) ჩამოშორდა მგზავრთა გადაყვანის პროცესების მართვის ბერკეტების ფუნქცია, ეს ფუნქცია მთლიანად გადაეცა ავტოსატრანსპორტო საწარმოებს — გადამზიდავებს. ფუნქციების ამგვარი „გადანაწილება“ მე არასწორად მიმაჩნია და ეს, ვფიქრობ, დამაჯერებლად დავასაბუთე თქვენს მიერ ნახსენებ წერილში, მაგრამ ამჯერად სხვა უმთავრესზე გავამახვილოთ ყურადღება. საქმე ის გახლავთ, რომ გადამზიდავებს ეს „ფუნქცია“ გადაეცა ფორმალურად. კერძოდ, გადამზიდავმა ტენდერში რომ გაიმარჯვა, მას გადაეცა გარკვეული მარშრუტი, ვთქვათ, „ჯვარი — ზუგდიდი“. მგზავრთა გადაყვანის ძირითადი პროცესები ხომ სწორედ ამ მარშრუტზე, ე. ი., გზაზე ხდება. ძირითადი დარღვევებიც, უკანონო გადაზიდვებიც და სხვაც, სწორედ ამ გზაზე მიმდინარეობს. არადა, გადამზიდავს, ამ მარშრუტის გაკონტროლების, ამ გზაზე მიმდინარე პროცესებში ოდნავი ჩარევის უფლება არა აქვს. არ არის ახლა ეს კურიოზი?!

**— აბა როგორ უნდა მოიქცეს?!**

— როგორ და, როგორც კი უკანონო გადამზიდავს შენიშნავს, უნდა გაქანდეს რეგიონალურ სამმართველოში და უნდა აცნობოს. დაახლოებით ეს ასე ხდება: აი, სკოლაში „დედიკოს ბიჭს“ რომ ვინმე რამეს დაუშავებდა და ისიც რომ სახლში გაქანდებოდა და მშობლებს მოგიყვანდა!

**— მერე და, აცნობე შენც.**

— კი ვაცნობე, მაგრამ ეგ ოხერი უკანონო გადამზიდავი იმ გზაზე რამეზე მიბმული ხომ არ მყავს?! მივედით და, სადაა?.. მერე კიდევ, კი, ბატონო, ერთხელ ვაცნობე, მეორედ ვაცნობე, მესამედ ვაცნობე, მეოთხეჯერ... შემრცხვა და ვერ ვაცნობე: ნამეტანი „დედის ბიჭობა“ გამომივიდა! ტრანსპორტის სამხარეო ადმინისტრაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გვერდში გვიდგას. უკომპრომისოდ ებრძვის (ზოგჯერ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც!) უკანონო გადამზიდავებს. მაგრამ, როგორც ჩემს წერილშიც აღვნიშნავდი, როგორც კი კონტროლი დადგება, რომელიმე გზაზე, უკანონო გადამზიდავები 15-20 წუთში იგებენ და „აორთქლდებიან...“ სამმართველოს თანამშრომლები მარტო ამ ერთ გზაზე ხომ არ დადგებიან, გასაკონტროლებელი ათეულობით სხვა მარშრუტიცაა...

**— სხვა გამოსავალი არ არის?**

— როგორ არ არის! არის ძალზე მარტივი, უფრო სწორად — უმარტივესი გამოსავალი: თუ მარშრუტი მივამაგრეთ ტენდერში გამარჯვებულ გადამზიდავს, მას ამ მარშრუტის გაკონტროლებისა და ამ მარშრუტზე მოძრავი უკანონო თუ „პარტიზანი“ გადამზიდავების დაჯარიმების უფლებაც უნდა მივანიჭოთ. სხვანაირად ეს ხომ აბსურდია?

**— გეთანხმები: სხვანაირად ეს მართლაც აბსურდი და საკმაოდ კურიოზული სიტუაციაც არის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არსებული კონტროლის სამსახურის გაუქმებას თვლით საჭიროდ?**

— პირიქით, კონტროლის სამსახურის გაძლიერებას ვითხოვ: მეწარმეებს რომ მისცემენ დაჯარიმების უფლებას, ეს კონტროლს არ გააძლიერებს?! მეწარმე „დედის ბიჭივით“ არ იქნება „დედიკოზე“ დამოკიდებული. პინციპული და ღირსეული კაცი თავის საქმეს კაცურად მიხედავს! დღეს არსებულ სამსახურს ოდნავადაც არ ელახება აქ უფლება. ამასაც პირიქით, გაეზრდება: თუ მეწარმე ამ კუთხითაც არ იშრომებს წესიერად, მივიდეს და ორმაგად „გააძროს“ ტყავი.

კიდევ ერთხელ ხმამაღლა და ყველას გასაგონად ვამბობ: სხვანაირად დარგში სასურველ წესრიგს ვერ მივიღებთ. პერიოდული (თუნდაც — ძალზე ხშირი!) რეიდებით და ადმინისტრირების გამკაცრებით, მხოლოდ დროებით და მყიფე წესრიგს მივიღებთ. წესრიგის სურვილი საქმის ორგანიზების შინაგანი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ნურავინ დაიჩემებს „რომის პაპობას“ და არ დაიწყოს მტკიცება, თითქოს ტენდერში გამარჯვებულ მეწარმეებზე მეტად უნდათ გზებზე წესრიგი! მოგეხსენებათ, ახლახან „ავტოტრანსპორტთა დარბაზი“ შეიქმნა. ტრანსპორტის სამხარეო სამმართველოს უფროსის დათო ხუბუას მოწვევითაც და პირადი დაინტერესებითაც რამდენიმე საწარმოში პირველად კრებებს დავესწარი. „პარტიზანი“ და უკანონო გადამზიდავი ყველასათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა!

ის. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტრანსპორტი

# „მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და ჩვენი წინადადებაც კვლავ ძალაშია!“

**(მეხუთე გვერდიდან)**

ამასთან, მოგეხსენებათ, მე გარკვეული „პოლიტიკური გამოცდილებაც“ მაქვს: უუფლებო მეწარმე საშიში პოლიტიკური ძალაა! მიეცი უფლება და საშუალება თავის საქმეს ღირსეულად მიხედოს და ამოგიდგება გვერდში! სხვანაირად ეს ან თავის მოტყუება იქნება, ან კიდევ ვინმე სხვისი! თუ ვინმეს არ სჯერა ეს, კი, ბატონო: აგერ, სულ მოკლე დროში გამოჩნდება!

**— მურად, პრობლემა, რომელსაც თქვენ აყენებთ და რომლის სათანადოდ გადაჭრაც ასე გაჭიანურდა, საგანგებოდ რამე კორუფციულ მომენტებს ხომ არ უკავშირდება? მით უმეტეს, თქვენი წერილის სარედაქციო მინაწერიდანაც ჩანდა, რომ რედაქციამაც სტრიქონსა და სტრიქონს შორის სწორედ ასეთი აზრი ამოიკითხა: „გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, ავტორს არსად უხსენებია სიტყვა კორუფცია“, მაგრამ ტრანსპორტის ხელმძღვანელთა აზრთან ერთად საინტერესო იქნებოდა ანტიკორუფციული საბჭოს წევრთა რეკომენდაციები ამ წერილში დასმულ საკითხებზე“.**

— კორუფციის ელემენტი (უფრო სწორად — ალბათობა), სამწუხაროდ, ნებისმიერ საქმეში შეიძლება იყოს და ნებისმიერ ქვეყანაშიც. მაგრამ აქ „ალბათობის“ ხარისხშია, ალბათ, სხვაობა. ჩემი წინადადება, ამ „ალბათობის ხარისხს“ მინიმუმამდე ამცირებს, მაგრამ გულწრფელი არ ვიქნებით, ხაზი არ გავუსვათ იმ სასიკეთო ტენდენციებსაც, რომელიც აშკარად ჩანს დარგში (ბუნებრივია, პირველ რიგში აქ მე მგზავრთა გადაყვანის სფერო მაქვს მხედველობაში). მე პირადად არ ვიცნობ დეპარტამენტის თავმჯდომარეს გ. შენგელიას, მაგრამ მაქვს ინფორმაცია (მოგეხსენებათ, საქართველოში ხმები სწრაფად ვრცელდება), რომ ის არის უაღრესად პრინციპული და, რაც მთავარია, მონდომებული ახალგაზრდა კაცი. გულდასმით გავეცანი „ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ კონფერენციის მასალებსაც და უნდა ითქვას, რომ, როგორც დეპარტამენტში, ისე მთლიანად დარგში არის უაღრესად დიდი პოტენციალი გნებავთ — სახელმწიფოებრივი აზროვნების, გნებავთ — ინტელექტუალური თვალსაზრისითაც. რომ არ იგრძნობოდეს ამგვარი პოტენციალი და სასიკეთო ტენდენციები, მაშინ არც ის ჩემი პირველი წერილის დაწერას ექნებოდა აზრი და არც ამ ჩვენს ინტერვიუს. წინადადების წამოყენებას, აზრის გამოთქმას, თუნდაც — კამათს, ბუნებრივია, მხოლოდ იქ აქვს აზრი, სადაც საქმე კეთდება, სადაც ხალხი მუშაობს. მერე რა რომ ჩვენ, ამ (სამეურნეო) პროცესში ჩართულ მეწარმეებს, მეტი გვინდა! არა მგონია, ნაკლებ უნდოდეს იგივე მინისტრს ან დეპარტამენტის თავმჯდომარეს! მოგეხსენებათ, ძალა ერთობაშია. სწორედ ამიტომ გამოვუცხადეთ თანადგომა, ამიტომ ვთქვით, ექსპერიმენტი ჩვენგან დავიწყოთ-მეთქი. წინადადება დღესაც ძალაშია!

**— მაგრამ, ჯერჯერობით მაინც, თქვენი წინადადება რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა...“**

— მთლად ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, იგივე მოსაზრებები (გადამზიდავისთვის მიმაგრებულ მარშრუტზე კონტროლის უფლების მინიჭების შესახებ) ფართოდ გამოითქმებოდა ხოლმე „ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ პირველი კონფერენციის წინა კრებებზე რაიონებსა და მხარეებში; მეორე, „ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ კონფერენციაზე საკანონმდებლო- ნორმატიული ბაზის სრულყოფის აუცილებლობა განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა და ამ კავშირის დებულებაში ეს საკითხი პირველ და უმთავრეს პუნქტად შევიდა; მესამე, თვით ამგვარი კავშირის შექმნაც და ის ფაქტი, რომ ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი სამინისტრომაც და დეპარტამენტმაც, მიუთითებს იმაზე, რომ სფეროში დასაქმებული და სფეროსთან რამე საქმიან კავშირში მყოფი ადამიანების აზრი მათ მეორეხარისხოვნად არ მიაჩნიათ.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ, რამდენადაც ვიცი, თქვენს გაზეთსა და სამინისტრო-დეპარტამენტს შორის მუდამ კოლეგიური საქმიანი ურთიერთობა იყო. გახსოვთ ჩვენი მართლაც მწვავე ინტერვიუ: „ასეთი კონტროლი ტრანსპორტს არ სჭირდება“!, რომელიც 2001 წლის 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა? კონტროლის სამსახური მაშინ თავად უკონტროლო, რაღაც დამოკიდებული მონსტრი იყო. ერთი რუსული იგავისა არ იყოს, რეგიონალური სამმართველო ერთ მხარეს ექაჩებოდა, კონტროლის სამსახური მეორე მხარეს. მეწარმე კი ორი უფროსის ხელში საცოდავი ზაქივით ხან იჭყლიტებოდა, ხან იხლიჩებოდა. მაშინ მე ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე საქვეყნოდ განვაცხადე: მოაშორეთ ამგვარი სამსახური მგზავრთა გადაყვანის სფეროს და ბიუჯეტში შემოსავლები 50 პროცენტით გაიზრდება-მეთქი! მოაშორეს. დღეს კონტროლის სამსახური ტრანსპორტის რეგულირების ერთიან სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი რგოლი, ზის და ყოველგვარი ამბიციების გარეშე აკეთებს თავის საქმეს.

**— გაიზარდა შემოსავალი?**

— რა თქმა, უნდა გაიზარდა!

**— ვთქვათ, თქვენი ეს წინადადებაც მიიღეს. მაშინ?**

— მთლად ჩემს წინადადებად ვერ მოვნათლავთ. უბრალოდ მე, როგორც მწერალმა და ჟურნალისტმა, ტენდერში გამარჯვებული გადამზიდავების აზრი, ამ სფეროში დასაქმებული საღად (სახელმწიფოებრივად!) მოაზროვნე ადამიანების აზრი გამოვთქვი. ყოველ შემთხვევაში, უკეთესი წინადადება ჩვენს გზაზე წესრიგის დამყარებისათვის, მე (ჯერჯერობით მაინც!) არსად მომისმენია და არსად წამიკითხავს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საკუთარი ღირსება რომ აქვს, საკუთარი ქვეყანა და ერი რომ უყვარს, სინდის-ნამუსი რომ აქვს, იმ მეწარმეებს (გადამზიდავებს თუ სხვებს) ხომ ხელ-ფეხი გაეხსნებათ, მუდამ სხვის იმედზე მყოფნი არ იქნებიან. ამით ყველა მოიგებს: სახელმწიფოც, მეწარმეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პროცესში ჩართული ჩინოვნიკიც (ამ სიტყვის კარგი გაგებით). ჩვენი გათვლებით შემოსავლები (მეწარმისაც და სახელმწიფოსი) 30 პროცენტით მაინც გაიზრდება.

**— ერთ დროს ტრანსპორტის სამხარეო ადმინისტრაციასთან პრობლემები გქონდათ...**

— პრობლემები ჩვენ კი არა, თვით სამხარეო ადმინისტრაციას ჰქონდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ადმინისტრაციის მაშინდელი ხელმძღვანელი, მართლაც უაღრესად ჩინებული პიროვნება და დარგის საუკეთესო მუშაკი ბატონი ნერონ ჯალაღონია გარდაიცვალა.

სამმართველოს ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა კი გაჭიანურდა. მაშინ იყო, რომ მივწერე წერილი მინისტრსა და დეპარტამენტის თავმჯდომარეს, არიქა, ვინმე დაგვინიშნეთ უფროსად, თორემ ვიშლებით — ვიღუპებით-მეთქი!

საბედნიეროდ, ნამდვილი კოლეგიური და მეგობრული ურთიერთობა გაგრძელდა ახალი ხელმძღვანელის დავით ხუბუას დროსაც. ეს არის განათლებული, ინტელიგენტი კაცი. უაღრესად პრინციპული და საქმეზე თავგადადებულია. რაც მთავარია, ირგვლივ შემოკრებილი ჰყავს უაღრესად კომპენტენტური და საქმის მცოდნე ადამიანები — გამოცდილნიც და ახალგაზრდებიც.

მერწმუნეთ, ამ ხალხს ხანდახან ისეთი სიზიფის შრომა აქვს, რომ ხშირად მრცხვენოდა და ჩემს პრობლემებს ვერ ვუმხელდი.

თუ ჩვენი წინადადება გავიდა, ამ ხალხსაც შეუმსუბუქდება შრომა და, რაც მთავარია, დარგის სინდისიერი მუშაკები უფრო მონოლითურად შეიკვრებიან და სასიკეთო შედეგებიც უფრო თვალსაჩინო იქნება.

**— მურად, ხომ არ გეჩვენება, რომ თქვენი ეს ოპტიმიზმი და დირექტორობიდან გადადგომა — ე. ი., ამ პროცესებისგან ჩამოშორება, ერთმანეთს ეწინააღმდეგება?**

— არა მგონია. — რამდენადაც ყველა საქმეში უკიდურესი პროფესიონალიზმის მომხრე ვარ და რამდენადაც ჩემთვის პროფესიონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, მუშაობის სტილია, — ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, მთლიანად მოვწყდი მწერლობას და ჟურნალისტიკას: ამ ხნის მანძილზე სულ ერთი წიგნი გამოვეცი და ერთი მოთხრობა დავბეჭდე „ცისკარში...“ არც ის დამიმალავს, რომ დარგში დღეს არსებული პრინციპი „დედის ბიჭობის“ ასოციაციას იწვევს და ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ამ პრინციპით მუშაობა! პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს პრინციპი სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ, უნდა შევცვალოთ. მწამს, რომ ეს ასეც იქნება!

სამაგიეროდ, დირექტორად დავნიშნეთ ჩემზე უფრო ახალგაზრდა, უფრო ენერგიული კაცი — გოჩა გეთია, რომელიც მთელი ძალით, მართლაც რომ, შეეჭიდა საქმეს. მეც ამოვისუნთქე და, რამდენადაც ვიცი, ბატონი დავით ხუბუაც კმაყოფილია მისი მუშაობით. რაც მთავარია, როგორც იქნა, სულ მოკლე ხანში ერთ კარგ მოთხრობაზე მუშაობას დავამთავრებ... ასე რომ, არა მარტო დარგის მომავალს, საერთოდ, საქართველოს მომავალსაც ოპტიმიზმით ვუყურებ.

**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ“ საკ. კორ.

P. S. **სანამ წერილს რედაქციაში გავაგზავნიდი, ტელეფონით ტრანსპორტის სამხარეო ადმინისტრაციის თავკაცს დავით ხუბუას დავუკავშირდი.**

**შპს „პრესა-იალონი“ რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა — თქვა მან, — სახელმწიფოს წინაშეც არასოდეს დავალიანება არ ჰქონიათ. ღმერთმა უმრავლოს ასეთი შრომითი კოლექტივები საქართველოს! — მითხრა მან.**

ო. ქ.

ეს საინტერესოა

# დიდი ბიოგრაფიის ფრაგმენტები

### გარიცხეს, თუ მიატოვა?..

იოსებ ჯუღაშვილს ტფილისის სასულიერო სემინარია არ დაუმთავრებია.

ამ ფაქტის მიზეზებზე ისტორიულ ლიტერატურაში ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებებია გამოთქმული. თვითონ ი. სტალინი და მისი ოფიციალური ბიოგრაფია ასე ხსნიან ამ ამბავს — მარქსიზმის პროპაგანდისათვის გამოაგდეს (ი. სტალინი) თუ გარიცხეს (ბიოგრაფია). ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება, არა იმიტომ, რომ ამ დროს იოსებ ჯუღაშვილი არ მარქსისტობდა, არამედ იმიტომ, რომ სათანადო ორგანოებს ამის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნდათ.

ზოგიერთი თვლის, რომ იგი სემინარიიდან გარიცხეს სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო, თუმცა საამისო დოკუმენტს არავინ უთითებს.

სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ ი. ჯუღაშვილის თითქმის იმდროინდელ გამონათქვამებს. მან პირველი დაპატიმრებისას აჩვენა, რომ სემინარიიდან გამოვიდა სახსრების უქონლობის გამო. ამასვე იმეორებდა შემდგომ დაპატიმრებებზე დაკითხვების დროსაც.

მისი ეკონომიკური მდგომარეობა იმ დროს მართლაც რომ გაუსაძლისი იყო — ოჯახიდან ვერაფერს ღებულობდა, სახელმწიფოს ხარჯზე შენახვაში კი გადაულახავი წინააღმდეგობები წარმოიშვა — მისი არაერთი თხოვნა დახმარების თაობაზე არ დააკმაყოფილეს. შექმნილ ვითარებაში კი სწავლის გაგრძელება მართლაც შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი იძულებული გახდა უბრალოდ მიეტოვებინა სწავლა.

ასეთ ვითარებას ადასტურებს ერთი დოკუმენტი. პირველივე დაპატიმრებისას პოლიციამ მოინდომა ოფიციალურად დაედგინა ი. ჯუღაშვილის მიერ სწავლის მიტოვების მიზეზი — იგი ხომ პოლიტიკური პატიმარი იყო და ბუნებრივია, აინტერესებდათ მისი ქცევა სემინარიაში.

მიმართვის პასუხად სემინარიიდან პოლიციას აცნობეს, რომ იოსებ ჯუღაშვილი ტფილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა 1894 წლის პირველ სექტემბერს და სწავლობდა 1899 წლის 29 მაისამდე, როცა დაუდგენელი მიზეზით გამოცდაზე გამოუცხადებლობის გამო დათხოვნილი იქნა 1899 წლის 29 ივნისს. ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ 1927 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ რატომღაც მიივიწყეს.

ვფიქრობ, იგი საბოლოოდ მოწმობს და ადგენს, რომ ი. ჯუღაშვილი გამოუვალი ეკონომიკური მდგომარეობის გამო თავს ანებებს სემინარიაში სწავლას. იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა სემინარია და თავი კერძო გაკვეთილებით ერჩინა.

### „მეთვალყურეობა სრულიად შეუძლებელია“...

1910 წლის 23 მარტს იოსებ ჯუღაშვილი ბაქოში დააპატიმრეს. პოლიცია, რომელმაც მას „მოლოჩნის“ მეტსახელი შეარქვა აგენტურული მეთვალყურეობისათვის, ეტყობა, საკმაოდ იყო ინფორმირებული მის საქმიანობაზე (ზოგიერთმა ისტორიკოსმა „მოლოჩნი“ ქართულად თარგმნა „მერძევედ“; არასწორ თარგმანს რომ თავი დავანებოთ, თვითონ პრინციპი მეტსახელის თარგმნისა დაუშვებელია). ამაზე მეტყველებს ამონაწერი დაპატიმრების შემდეგდროინდელი ერთ-ერთი დოკუმენტიდან:

„გარეგანი მეთვალყურეობის ცნობებში „მოლოჩნის“ მეტსახელით ცნობილი, ორგანიზაციაში „კობას“ მეტსახელით ცნობილი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბაქოს კომიტეტის წევრია, წარმოადგენს ყველაზე ქმედით პარტიულ მუშაკს,



რომელსაც წამყვანი როლი უკავია“...

პოლიცია, ეტყობა, იმედოვნებდა, რომ კობაზე ფარული მეთვალყურეობა საშუალებას მისცემდა მასზე და პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე უფრო ფართო და სრული ინფორმაცია მიეღო და მის დაპატიმრებას არ ჩქარობდა.

მაგრამ ამ იმედმა მოლოდინი არ გაამართლა და კობას დაპატიმრება გადაუდებელი გახდა. ეს კარგად არის ახსნილი იმავე დოკუმენტში: „მოლოჩნის“ დაკავების აუცილებლობა გამოიწვია მასზე შემდგომი მეთვალყურეობის სრულიად შეუძლებლობამ, რადგანაც ყველა ფილერი მისთვის ცნობილი გახდა და ტფილისიდან ახალჩამოსული ახალდანიშნულებიც მაშინვე ვარდებოდნენ. ამასთან „მოლოჩნი“ ყოველთვის ახერხებდა მოეტყუებინა მეთვალყურენი, უთითებდა მათზე შემხვედრ ამხანაგებს, რითაც, რა თქმა უნდა, ვნებდა საქმეს“.

იოსებ ჯუღაშვილისათვის ეს დაპატიმრება ციმბირში ხანგრძლივი გადასახლებით დამთავრდა.

საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც ადრინდელი დაპატიმრებისას შეიქმნა. ეს არის პატიმრის საქმის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც მისი ნიშნებია აღწერილ-ჩამოთვლილი.

მასში მითითებულია: „სიმაღლე 2 არშინი და 4,5 გოჯი, აღნაგობა საშუალო, ტოვებს ჩვეულებრივი ადამიანის შთაბეჭდილებას, თმა თავზე მუქი წაბლისფერი, ულვაში და წვერი წაბლისფერი, თმა სწორი, გაუყოფელი, თვალები თაფლისფერი, საშუალო სიდიდის, თავის წყობა ჩვეულებრივი, შუბლი პირდაპირი, არა მაღალი, ცხვირი პირდაპირი გრძელი, სახე მოგრძო, შავგვრემანი, დაფარული ნაკენკით ყვავილისაგან, ქვედა ყბის მარჯვენა მხარეზე აკლია წინა ძირითადი კბილი, სიმაღლე საშუალო, ნიკაპი მახვილი, ხმა წყნარი, ყურები საშუალო სიდიდის, სიარული ჩვეულებრივი, მარცხენა ყურზე ხალი, მარცხენა ფეხზე მე-2 და მე-3 თითები შეზრდილი“.

ეს ცნობა საყურადღებოა იმით, რომ შემდგომში იოსებ ჯუღაშვილის, და, ცხადია, იოსებ სტალინის ასეთი სრული ანატომიური აღწერილობა არ გაკეთებულა.

**ივანე შენგელაია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

## რეკომენდაცია

# მენოტი მხარს უჭერს


Cesar Luis Menotti"
To : "niko patarkalishvil
Subject : RE: RESPUESTA P RODRIGUEZ
Date : Mon, 8 Sep 2003 1
Reply Reply All Forward Delete Printer Frien

Senor
Tenguis Gachechiladze:

Me dirijo a Usted, dando respuesta via mail
respecto a lo solicitado en
referencia al senor Vicente Cayetano Rodriguez.
Para abreviar le digo que se trata de un
entrenador de primer nivel, y que
puede dirigir cualquier equipo del mundo. Ademas
le puedo decir que es un
hombre de un enorme conocimiento del futbol
Europeo y Sudamericano, con
experiencia a nivel seleccion nacional por
haberme acompanado durante 8 anos
en la seleccion Argentina y 2 anos en la
seleccion de Mexico.
Respaldo sus conocimientos y calidad humana,
estoy seguro del enorme aporte
que le daria al futbol de Georgia.
En cuanto a si por la amistad que nos une
visitaria su tierra, le digo que
de ser invitado lo haria con mucho agrado.

Lo saluda atentamente,

CESAR LUIS MENOTTI.

(პირველი გვერდიდან)

დღეს გთავაზობთ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძისადმი სესარ ლუის მენოტის მიერ გამოგზავნილ საპასუხო წერილს, რომელიც საქართველოს ნაკრების მორიგი ფიასკოს ფონზე, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტუალურად გამოიყურება.

* * *

**მოგმართავთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას, გიპასუხოთ ბატონ ვისენტე კაიეტანო როდრიგესთან დაკავშირებით, მოგახსენებთ შემდეგს:**

**მოკლედ რომ მოვჭრა, იგი უმაღლესი დონის მწვრთნელია, რომელსაც შეუძლია წარმატებით უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნებისმიერ ნაკრებ გუნდს, რადგან ზედმიწევნით კარგად იცნობს ევროპულ და სამხრეთამერიკულ ფეხბურთს.**

**მას აქვს ჩემთან ერთად არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 8 წლის და მექსიკის ეროვნულ ნაკრებში 2 წლის მუშაობის გამოცდილება.**

**მხარს ვუჭერ მის ცოდნას და ადამიანურ თვისებებს, დარწმუნებული ვარ, რომ მას შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის აღმავლობაში.**

**რაც შეეხება მეგობრობას, რაც ჩვენ გვაერთიანებს, გპირდებით, რომ მოწვევის შემთხვევაში დიდი სიამოვნებით ვესტუმრებოდი თქვენს ქვეყანას.**

**სალმით და პატივისცემით,**

**სესარ ლუის მენოტი.**

## სკოლა და სპორტი

**ცნობილია, რომ ჯანსაღი მომავალი თაობა სპორტის გარეშე ვერ აღიზრდება, კარგ სპორტსმენს კარგი განათლება და სულიერი აღზრდა ამშვენებს! სწორედ ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად თბილისის ოლიმპიური რეზერვის საკალათბურთო № 58 საშუალო სკოლას, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1985 წლის 11 ნოემბერს ცნობილი კალათბურთელის ლევან ჩხიკვაძის თაოსნობით და მას დიდი მწვრთნელისა და პედაგოგის მიხეილ კეკელიძის სახელი მიენიჭა.**

**სკოლის შექმნის მიზანი იყო ქართული კალათბურთის (რომელიც იმ პერიოდში მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა) ფეხზე დადგომა და თავისი ადგილის დაბრუნება საკალათბურთო სამყაროში...**

* * *

**1986 წლიდან თბილისის კალათბურთის სკოლას მიხეილ კეკელიძის ვაჟი მერაბ კეკელიძე ხელმძღვანელობს – სახელოვანი მამის ღირსეული შვილი, თავისი ადამიანური ღირსებებით და ხიბლით, ინტელიგენტური გარეგნობით შემკული კაცი.**

**თავისი სკოლის, აღსაზრდელების შესახებ გვესაუბრება ბატონი მერაბ კეკელიძე:**

# ტრადიცია გვავალებს

– სკოლის შექმნის მიზანი, მოგეხსენებათ, იყო ქართული კალათბურთისთვის ძველი დიდების დაბრუნებისთვის ზრუნვა. საქართველოს მთავრობის აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სკოლა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით: ვერის პარკში ბავშვთა კალათბურთის სასახლე 2200 ადგილით, სავარჯიშო დარბაზი 800 ადგილით, დიდუბეში წერეთლის გამზირზე მდებარე კომპლექსი 4 სათამაშო დარბაზით, მძლეოსნური მანეჟი, კვების ბლოკი, საერთო საცხოვრებელი. ამ სკოლაში პირველად მოხერხდა სწავლისა და სპორტის ერთ ჭერქვეშ მოქცევა. სკოლაში მოვიზიდეთ ის პედაგოგები და მწვრთნელები, რომლებიც ერთობლივი მუშაობით შევეცდებოდით ქართული კალათბურთის აღზევებას. სკოლას გამოარჩევს მოსწავლეებთან სიყვარულითა და ურთიერთგაგების საფუძველზე აგებული თანამშრომლობა.

სკოლაში დღეს 800-მდე მოსწავლე ვარჯიშობს და, თუმცა, ყველა კალათბურთელი ვერ გამოვა, მაგრამ ერთმა თაობამ რომ 2-3 ძლიერი სპორტსმენი გამოუშვას, საქმე გაკეთდება. საერთოდ კი, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები საზოგადოების სხვადასხვა სფეროში თავის წონად სიტყვას ამბობენ.

სპორტულ სკოლას სხვა ჩვეულებრივი სკოლებისგან განასხვავებს სწავლის რეჟიმი და მეცადინეობის სპეციფიკა. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ კალათბურთელების ვარჯიშებსა და თამაშების გრაფიკს, ვერგებით მათი სპორტული ცხოვრების რიტმს. ყველაფერ ამას კარგად რომ გავართვათ თავი, კვალიფიციური პედაგოგიური კადრები გვეხმარება. მოგეხსენებათ, კარგი პროფესიონალი ვერ იქნები, თუ არა ხარ პიროვნება და, აქედან გამომდინარე, ვცდილობთ, კარგი ადამიანური თვისებების მქონე, სპორტზე შეყვარებული კადრების მოზიდვას და გვიმართლებს კიდეც...


მერაბ კეკელიძე

სკოლას შექმნის დღიდან ყურადღება არ მოკლებია: სკოლას ემსახურებოდა ავტობუსი, მოსწავლე სპორტსმენები კვებით უზრუნველყოფილნი იყვნენ, ყველა დონის შეჯიბრებაზე გუნდების მივლინება პრობლემას არ წარმოადგენდა, ზაფხულობით სპორტულ ბანაკებში ვემზადებოდით ახალი სასწავლო წლისთვის, არაფერს ვამბობთ დარბაზების მდგომარეობაზე, სპორტულ ინვენტარზე. სამწუხაროდ, ბოლო 10-12 წელია მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა. ახლა ჩვენივე მწვრთნელებისა და პედაგოგების ძალისხმევით ვცდილობთ, რაც გვაქვს, შევინარჩუნოთ – იმ იმედით, რომ მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. მანამდე კი უნდა გითხრათ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო კორპუსი ფაქტობრივად, არა გვაქვს და, მიუხედავად ამისა, ძალასა და ენერგიას არ ვიშურებთ, რომ საქმე კარგად ავაწყოთ...

ჩვენთან სწავლა VII კლასიდან იწყება, ბავშვებს მწვრთნელების რეკომენდაციით ვიღებთ. კალათბურთის მთელი საიდუმლო იმაშია, რომ სპორტის მიმდევარი განათლებული უნდა იყოს, ჩვენს ახალგაზრდებს სწავლა უადვილდებათ, რადგან კალათბურთი სწრაფ აზროვნებას მოითხოვს.

ჩვენმა პედაგოგებმა გაიარეს თანამედროვე ინტერაქტიური სწავლების მეთოდების ტრენინგები – აღსანიშნავია ჩვენი პედაგოგების განსხვავებული, თანამედროვე მიდგომა მოსწავლეების და საგნის სწავლების მიმართ.

**ის. მე-8 გვ.**

## ფეხბურთი

# ეროვნული ჩემპიონატების ტაბლო



იტალია. „მილანი“ – „ბოლონია“ 2:1, სამპდორია“ – „ლაციო“ 1:2.

ესპანეთი. „სევილია“ – „დეპორტივო“ 1:2, „რეალი“ – „ვალიადოლიდი“ 7:2, „სელტა“ – „ბეტისი“ 0:2, „რასინგი“ – „სოსიედადი“ 0:1.

ინგლისი. „არსენალი“ – „პორტსმუტი“ 1:1, „ბლექბერნი“ – „ლივერპული“ 1:3, „ბოლტონი“ – „მიდლსბრო“ 2:0, „ჩარლტონი“ – „მანჩესტერი“ 0:2, „ჩელსი“ – „ტოტენჰემი“ 4:2, „ევერტონი“ – „ნიუკასლი“ 2:2, „საუთჰემპტონი“ – „ვულვერჰემპტონი“ 2:0.



გერმანია. „ლევერკუზენი“ – „ჰამბურგი“ 1:0, „ჰერტა“ – „ჰანოვერი“ 2:3, „ვოლფსბურგი“ – „ბაიერნი“ 3:2, „შალკე“ – „შტუტგარტი“ 0:0, „ბორუსია“ – „ვერდერი“ 2:1, „ჰანზა“ – „ბოხუმი“ 0:2, „მიუნხენი“ – „კიოლნი“ 2:1.

საფრანგეთი. „მარსელი“ – „ლე მანი“ 5:0, „ნიცა“ – „ნანტი“ 1:0, „ლიონი“ – „ოსერი“ 1:1, „მეცი“ – „მონპელიე“ 2:1, „ბორდო“ – „სოშო“ 1:3, „ბასტია“ – „გენგამი“ 4:2, „რენი“ – „ლანსი“ 2:0, „ლილი“ – „მონაკო“ 1:1, „სტრასბური“ – „აიაჩო “ 3:2.

რუსეთი. „დინამო“ – „ურალანი“ 2:0, „როტორი“ – „ზენიტი“ 1:4, „როსტოვი“ – „კრილია“ 2:1, „სატურნი“ – „ალანია“ 2:2, „რუბინი“ – „შინიკი“ 1:0, „ჩერნომორეცი“ – „მეტალურგი“ 1:2, „სპარტაკი“ – „ტორპედო“ 1:0.

შოტლანდია. „დანდი“ – „სელტიკი“ 0:1, „რეინჯერსი“ – „დანფერმლაინი“ 4:0, (მესამე გოლი შოთა არველაძემ გაიტანა), „კილმარნოკი“ – „ჰართსი“ 0:2, „ლივინგსტონი“ – „დანდი იუნაიტედი“ 0:0, „აბერდინი“ – „პარტიკი“ 2:0, „ჰიბერნიანი“ – „მოზერუელი“ 0:2.

ჰოლანდია. „აიაქსი“ – „ვალვაიკი“ 4:1, „ზვოლე“ – „როდა“ 0:0, „ეინდჰოვენი“ – „უტრეხტი“ 2:1, „როზენდალი“ – „ვიტესი“ 1:1, „ჰერენვენი“ – „გრონინგენი“ 1:0.

პორტუგალია. „ფერეირა“ – „მარი ტიმუ“ 0:1, „ლეირია“ – „პორტუ“ – 1:3, „ამადორა“ – „მორეირენსე“ 1:2, „გიმარაეში“ – „აკადემიკა“ 1:2.

ბელგია. „ლოკერენი“ – „ანდერლეხტი“ 0:6, „ბრიუგე“ – „გენტი“ 1:1, „შარლერუა“ – „ანტვერპენი“ 0:1, „ბეერსხოტი“ – „ლუვიერი“ 0:0, „ვესტერლო“ – „ბევერენი“ 3:2.

ავსტრია. „ადმირა“ – „ბრეგენცი“ 0:1, „პაშინგი“ – „მატერსბურგი“ 1:1, „ზალცბურგი“ – „კერნტენი“ 5:0, „შტურმი“ – „აუსტრია“ 0:0.

უკრაინა. „კარპატი“ – „დინამო“ 3:4.

დანია. „კოპენჰაგენი“ – „მიდტიულანდი“ 0:1.

ნორვეგია. „რუსენბორგი“ – „ოდ გრენლანდი“ 3:1.

საბერძნეთი. „პანათინაიკოსი“ – „კალითეა“ 3:1, „ირაკლისი“ – აეკ 2:2, „პრუდეფტიკი“ – „ოლიმპიაკოსი“ 1:0.

თურქეთი. „რიზე“ – „ტრაბზონი“ 1:0, „სამსუნი“ – „ისთანბული“ 3:3, „ქონია“ – „გალათასარაი“ 1:0, „ადანა“ – „დიარბაქირი“ 2:1.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ისტორია

# ხრუშჩოვის განკარგულებით

1953 წლის ენკენისთვის დასაწყისში თბილისში საბჭოთა კავშირის პირველობა მიმდინარეობდა. ვერის ბაღის ღია სპორტული მოედანი და სანაპიროზე არსებული კალათბურთის ტრიბუნები მაყურებლებს ვერ იტევდა. სექტემბრის წყნარი საღამო იდგა. თბილისელები კიდევ ერთხელ დავტკბით ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ვაჟა ქღენტის, ლევან ინწკირველის, ალექსანდრე კილაძის, მალხაზ ეგანოვის, ვაჟა გვანცელაძის და სხვათა დიდებული მორიგი გამარჯვებით. მაყურებელთა გამაყრუებელი ყიჟინა და ტაში დიქტორის ვლადიმერ პარტინის ომახიანმა ხმამ ჩააჩუმა: ახლა მივიღეთ ცნობა, რომ ლენინგრადში ადგილობრივმა „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოველი „სპარტაკელები“ და, თუ ამ საღამოს თბილისის „დინამოელები“ მოსკოვში დაამარცხებენ „ტორპედოს“ გუნდს, ჩვენი თანაქალაქელები ქვეყნის ჩემპიონობას მოიპოვებენო. ეს ასეც იყო. იმ საღამოს სწორედ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტური იმართებოდა და სეზონიც ამით უნდა დამთავრებულიყო. ძალიან კარგად მახსოვს, ვერის ბაღი სწრაფად დაცარიელდა; ყველას შინ მიეჩქარებოდა, რათა რადიოსათვის მოესმინა. მე მაშინ ოქროსუბანში ვცხოვრობდი. მეზობლებთან ერთად რადიოლა „ურალს“ მივუჯექი და ცნობილი ვადიმ სინიავსკის რეპორტაჟს მივაყურადე. ყველაფერი ჩვენების სასარგებლოდ წარიმართა. ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მოსკოველი ავტოქარხნელები და, ფაქტობრივად, ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გათენებას მოუთმენლად ველოდით – მაშინ ხომ ტელევიზია არ არსებობდა. ადრე დილით ყველა გაზეთი შევიძინე, მაგრამ სიხარულის ნაცვლად სინანული განვიცადე: თურმე საკავშირო ხელისუფლებას არ სურდა ქართველთა გაჩემპიონება და თუ რამ თავს დაგვატყდა, მაშინდელი ქვეყნის ცეკას პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის დამსახურება გახლდათ. სამწუხაროდ, მაშინ ისეთი დრო იყო – ვერც ერთმა ჟურნალისტმა და ვერც ფეხბურთელებმა იმდროინდელი ჩანაწერი ვერ შემოგვინახეს. ამით კი ისტორია დამახინჯდა. ვინც კი იმდროინდელ ამბებს წაიკითხავს, ნახავს, რომ აქ ფაქტის დამახინჯებაა და მეტი არაფერი. ორ ცნობარში წერია, რომ 1953 წლის 7 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედომ“ დაამარცხა თბილისის „დინამო“ ანგარიშით 4:1. იქ უნდა აღნიშნულიყო, რომ ეს იყო გადათამაშება და არა ოფიციალური კალენდარული შეხვედრა, რომელიც მოიგეს ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

დღეს ამ ისტორიული თამაშის მონაწილენი ბრძანდებიან ვლადიმერ ელოშვილი, რეზო მახარაძე და მაშინ თადარიგში მყოფი ნიკო ცაგარეიშვილი. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე ვრცელი და საინტერესო მასალა მოგვაწოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ალიოშა მირცხულავამ.

ვიდრე ამ საკითხს კონკრეტულად შევეხებოდე, აღვნიშნავ შემდეგ პოლიტიკურ საკითხს, რომელმაც ძალიან ცუდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში: 1953 წლის მარტის დასაწყისში გარდაიცვალა იოსებ სტალინი, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დააპატიმრეს ლავრენტი ბერია. იწყება ანტიქართული პროპაგანდა, რაც, სამწუხაროდ, ქვეყანაში ყველა სფეროს შეეხო. გაუქმდა ეროვნული არმიები. საქართველოს არაქართული სკოლების სწავლების პროგრამიდან ამოიღეს ქართული ენა და საქართველოს ისტორია. საქართველოში ცუდი დრო დადგა. აი, ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში საკავშირო ჩემპიონატში იმარჯვებს თბილისის „დინამოს“ფეხბურთელთა გუნდი, რაც კრემლის მესვეურთ გულში მეხივით ეცათ.

1953 წლის 4 სექტემბერს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მაგრამ კრემლის ხელისუფლების წყალობით ოქროს მედლები წაართვეს და მეორე ადგილზე მყოფ მოსკოვის „სპარტაკს“ ხონჩით საჩუქრად მიართვეს. თუ როგორ მოხდა ეს და მასთან ერთად ბევრი საინტერესო მოვლენა, ამაზე ქვემოთ.

1952 წელს საბჭოთა კავშირმა პირველად მიიღო მონაწილეობა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში. საფეხბურთო შეჯიბრის ფინალში ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ოლიმპიური გუნდები შეხვდნენ. ფინალის პირველი დღე ფეხბურთისათვის ცოტა უცნაური ანგარიშით – 5:5 დამთავრდა. მეორე დღეს გადათამაშება იუგოსლავებმა მოიგეს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. პირველ შეხვედრაში ფინალში ითამაშა თბილისის დინამოელმა ავთანდილ ჭკუასელმა. ამ დროისათვის პოლიტიკური სიტუაცია ამ ორ სახელმწიფოს და, რა თქმა უნდა, სტალინსა და იოსიფ ბროზ ტიტოს შორის მეტად დაძაბული გახლდათ. 1952 წლის საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში, ჰელსინკის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, ერთ წრედ გაიმართა. სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებიდან მოხსნეს წინა წლის ჩემპიონი, მოსკოვის სახელგანთქმული ცდკა-ს გუნდი, რომელიც ოლიმპიური ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენდა. 1953 წლის ქვეყნის ჩემპიონატი, ჩვეულებისამებრ, ორ წრედ მოეწყო. თბილისის „დინამოს“ გუნდს კვლავ მიხეილ იაკუშინი წვრთნიდა. შუა სეზონში აშკარად გამოიკვეთა, რომ ჩემპიონობის ბედი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის გადაწყდებოდა. ფინიში მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. აქ ყველაფერი ბოლო ტურში უნდა გადაწყვეტილიყო 4 სექტემბერს, ლენინგრადსა და მოსკოვში. სპარტაკელები ლენინგრადში „ზენიტთან“ ანგარიშით 0:1 დამარცხდნენ, ხოლო თბილისის დინამოელებმა მოსკოვში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ტორპედოელები და, ფაქტობრივად, ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ...

აქ არაფერ შუაშია არც მოსკოველი ფეხბურთელები და არც ჩვენი მოძულე რუსი მსაჯი ნიკალაი ლატიშევი. მაშინდელმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა პოლიტბიურომ შეურაცხყოფად მიიღეს ქართველ ფეხბურთელთა ჩემპიონობა და გადათამაშება დაინიშნა. ამ დღეს, 7 სექტემბერს, მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ალიოშა მირცხულავა. დღეს ის 92 წლისაა და ჯანმრთელად, საღსალამათად გამოიყურება. ბატონ ალიოშა მირცხულავას თქმით, პლენუმის მონაწილეებს გადათამაშების „საინტერესო“ პაექრობაზე დასწრება გადაუწყვეტიათ. თამაშზე წასვლისას იქაურთა გასაგონად ნიკიტა ხრუშჩოვს მკვახედ და ღვარძლიანად უთქვამს: მირცხულავას უნდა მოსკოვს პირველობა წაგვართვას, მაგრამ ეს გამორიცხულია, ვერ მოესწრებაო. ე. ი. კრემლში ქართველ ფეხბურთელთა ბედი თამაშამდე უკვე წინასწარ გადაწყვეტილი იყო. თბილისის დინამოელებმა ის შეხვედრა ანგარიშით 1:4 დათმეს და თბილისში ისე დაბრუნდნენ, ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დაცდენიათ. იმ ტოტალური რეჟიმის პერიოდში ვერც გაბედავდნენ.

...1953 წლის საკავშირო პირველობის პირველი წრის ბოლომდე თბილისის „დინამოს“ მიხეილ იაკუშინი წვრთნიდა. მოსკოვმა შენიშნა რა თბილისის „დინამოელთა“ ჩემპიონობის საშიშროება, იგი უმიზეზოდ თბილისიდან მოსკოვში გაიწვია, „დინამოს“ უფროს მწვრთნელად ბორის პაიჭაძე დანიშნეს.

ახლა მოკლედ იმაზე, ვინც 1953 წელს თბილისის „დინამოს“ გუნდის ღირსებას იცავდა და თავი გამოიჩინა: ვლადიმერ მარღანია, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, ვლადიმერ ელოშვილი, კარლო გაგნიძე – 20-20 შეხვედრა, რევაზ მახარაძე – 19, გიორგი ანთაძე – 18, ზაურ კალოევი, ნიკოლოზ გაგნიძე – 17-17, ალექსანდრე კოტრიკაძე, ნიკოლოზ გოგლიძე – 12-12, იური ვარდიმიადი – 11, ავთანდილ ჭკუასელი, ჯუმბერ რუსაძე – 10-10, ნიკოლოზ თოდრია – 8, ნიკოლოზ სიხარულიძე – 7, იბრაგიმ სარჯველაძე – 4, მიხეილ ჯოჯუა – 3, ნიაზ ძიაპშიპა, არჩილ კილაძე, თენგიზ კუბლაშვილი, შოთა კიტია – 1.

ვინ რამდენი ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში?

ა. ღოღობერიძემ – 14, ზ. კალოევმა – 7, კ. გაგნიძემ – 5, ნ. სიხარულიძემ – 4, ა. ჭკუასელმა – 4, ა. კოტრიკაძემ – 2, ვ. ელოშვილმა, ნ. თოდრიამ, ი. ვარდიმიადიმ, რ. მახარაძემ – თითო ბურთი.

დიდ მადლობას ვუხდი ამაგდარ პიროვნებას ბატონ ალიოშა მირცხულავას, რომელიც უშუალო მოწმე იყო მაშინდელი, როგორც პოლიტიკური, ისე სპორტული ანომალიებისა და მან, როგორც მომსწრემ ყოველივე ამისა, მეტად საყურადღებო და საინტერესო ჩანაწერი მოგვაწოდა.

1953 წლის 4 სექტემბერს თბილისის დინამოელებმა მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, ჯუმბერ რუსაძე (ნიკოლოზ გოგლიძე), ნიკოლოზ გაგნიძე, გიორგი ანთაძე, რევაზ მახარაძე, ალექსანდრე კოტრიკაძე, კარლო გაგნიძე, იური ვარდიმიადი, ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი.

გუნდის უფროსი მწვრთნელი
**ბორის პაიჭაძე,**

მწვრთნელი
**მიხაილ მინაევი.**

ნიკო ცაგარეიშვილმა თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში 1954 წელს გამართა 6 თამაში და გაიტანა 3 გოლი. სამივე ხარკოვის „ლოკომოტივთან“, თბილისში – 8 აგვისტოს.

**დურმიშხან ცინცაძე.**





**სურათებზე: თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი მ. იაკუშინი და გუნდის უფროსი ბ. პაიჭაძე; ქართული ფეხბურთის დიდოსტატები ბ. პაიჭაძე და ა. ღოღობერიძე.**

სკოლა და სპორტი

## ტრადიცია მვავალებს

(პირველი გვერდიდან)

X-XI კლასებში შემოვიდა ახალი საგანი – სპორტის ისტორია. იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ორჯერადი ვარჯიშით არიან დაკავებული და მცირე დრო აქვთ გაკვეთილებზე დასასწრებად, ვაწყობთ დამატებით მეცადინეობებს მათთვის ხელსაყრელ დროს.

ჩვენს სკოლაში მწვრთნელთა ძლიერი კადრებია მოზიდული, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას, მიუხედავად მწირი ანაზღაურებისა და უამრავი პრობლემისა. მათში დიდია ეროვნული თვითშეგნება, გრძნობა იმისა, რომ პატარა ერს დიდი სახელები გამოაჩენს.

სპორტული ტრადიციები გაგრძელებას მოითხოვს და მწვრთნელებიც მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ერისა და ბერის წინაშე თავი არ შეირცხვინონ.

ჩვენი სკოლის გუნდები ყველა ასაკში, როგორც გოგონები, ასევე ჭაბუკები საქართველოს ჩემპიონები არიან, წარმატებით მონაწილეობენ (როცა შესაძლებლობა ეძლევათ) საერთაშორისო ტურნირებში. ამჟამად ჩვენი მოსწავლეებიდან გამოვყოფდი წარჩინებულ მოსწავლეს და უდაოდ პერსპექტიულ კალათბურთელს ჯაბა გუგეშაშვილს.

ჩვენი სკოლის აღზრდილები იცავენ საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრები გუნდების ღირსებას. უმაღლესი ლიგის გუნდებში 80 პროცენტი ჩვენი სკოლის წარმომადგენლები არიან და რა დიდი სიხარული და ბედნიერებაა, რომ მათგან ბევრი ჩვენი ყოფილი მოსწავლე ევროპის წამყვანი კლუბების ღირსებას იცავს, მაგალითად, ნაცვლიშვილი, მარკოიშვილი, მდივანი, მამაცაშვილი, ცინცაძე და სხვები. ხოლო ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია ამერიკის პროფესიონალური ლიგის მოთამაშეები არიან.

ესაუბრა
**როზეტა ჩხიკვაძე.**

ფეხბურთი

## ექს-ვარსკვლავები ყატარში იყრიან თავს

**პატარა არაბულმა სახელმწიფომ ყატარმა გადაწყვიტა, თავისი ჩემპიონატი ფეხბურთში ევროპის ქვეყნების წამყვან პირველობებს დაამსგავსოს.**

კლუბ „ალ-არაბისთან“ ხელშეკრულება გააფორმა განთქმულმა არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ. იგი ორ სეზონში 8 მილიონ დოლარს მიიღებს. პირველ წელს 5,5 მილიონს, მეორე წელს – 2,5 მილიონს. მისი თანაკლუბელია გერმანელი შტეფან ეფენბერგი, „ალ-რაიანში“ თამაშობს კიდევ ერთი გერმანელი მარიო ბასლერი, „ალ-საადში“ კი – მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი ფრანკ ლებეფი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სპეციალისტის აზრით

**იმ 5 წამყვან ევროპულ ჩემპიონატს შორის, რომლის მატჩებსაც ახლა მთელი საფეხბურთო სამყარო ადევნებს თვალ-ყურს, უძლიერესად მაინც იტალიური „სერია-A“ ითვლება. ამ აზრს, ცხადია, ყველა არ იზიარებს, ისე კი ესპანეთისა და ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის პირველობებიც მეტად საინტერესოა.**

**იტალიის ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო. თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტებად, ამის შესახებ ჟურნალისტებმა აზრის გამოთქმა თხოვეს ცნობილ სპეციალისტს ალბერტო ძაკერონის, რომლის მთავარ მიღწევად იტალიურ ფეხბურთში 1999 წელს „მილანის“ მიერ „სკუდეტოს“ მოპოვება ითვლება. მაშ ასე, რას ელის ძაკერონი მიმდინარე ჩემპიონატში?**



# ალბერტო ძაკერონი პრეზიდენტებს ასახელებს

თუ ლაპარაკია წამყვანი კლუბების გაძლიერებაზე, ამ მხრივვ იტალიაში, ძაკერონის აზრით, რაიმე არსებითი არაფერი მომხდარა და პრეტენდენტები იგივენი დარჩნენ.

**— „იუვენტუსი“? იგი ხომ სატრანსპორტო ბაზარზე აქტიურობას იჩენდა?**

— ეს აქტიურობა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხმა გამოიწვია, მაგრამ ტურინელებს ისეთი მოთამაშეები არ შეუძენიათ, რომლებიც მათ თანაბარი ძალის მეტოქეებთან უპირატესობას მიანიჭებენ. „იუვენტუსი“ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, მეტად მძლავრი გუნდია, ტექნიკის მხრივ კი სხვა მეტოქეებს არ სჯობს. „იუვეს“ ძალა იმაშიც არის, რომ ყველა მატჩში იგი მთლიანად იხარჯება. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, „ინტერთან“ თამაშობს თუ „რეჯინასთან“.

**— „მილანი“?**

— მისი მოთამაშეები მშვენივრად არიან ტექნიკურად მომზადებული, მათ ძალიან კარგად წარმართეს უკანასკნელი ჩემპიონატის პირველი ნახევარი. „მილანსაც“ გააჩნია თავისი ნაკლი — მას შეუძლია ალმავლობით ითამაშოს, ყველაფერი საუკეთესო აჩვენოს მთავარი მეტოქეების წინააღმდეგ, მაგრამ სათანადო სტიმული არა აქვს პროვინციულ გუნდებთან. თუ ეს პრობლემა გადაწყდება, მაშინ შავ დღეში ჩავარდება ნებისმიერი მოწინააღმდეგე, თქვენ წარმოიდგინეთ, „იუვენტუსიც“ კი. შეგვიძლია ასეც ვთქვათ; თუ ამჟამად „მილანი“ რამდენიმე სანტიმეტრით“, მაგრამ მაინც ჩამოუვარდება „იუვენტუსს“, ასევე „რამდენიმე სანტიმეტრით“ იგი მაინც უსწრებს „ინტერს“.

**— ამდენი ხანია „ინტერი“ ჩემპიონი აღარ ყოფილა. ამ ტრადიციას მიმდინარე ჩემპიონატში ხომ არ დაარღვევს?**

— ის, რომ „ინტერი“ ამდენი წელია ჩემპიონი არა ყოფილა, ფეხბურთისათვის მხოლოდ საზიანოა. იცვლება ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, მოთამაშეები, მიზანს კი ვერავინ აღწევს. ამას ძალიან განიცდის „ინტერის“ რვა მილიონი გულშემატკივარი, მისი პრეზიდენტი მორატი. გასაგებია, გუნდს ზოგჯერ ბედიც უმტყუნებს ხოლმე, მაგრამ მთავარი პრობლემა სხვაა — „ინტერი“ ძალიან არათანაბრად თამაშობს მინდვრის შუაგულში, სადაც ყველა გუნდის მამოძრავებელი ძალაა.

**— მაინც რატომ ანიჭებთ „მილანს“ უპირატესობას „ინტერთან“ შედარებით, რომელმაც ძალიან კარგი სატრანსფერო კამპანია წარმართა?**

— იმიტომ, რომ უკანასკნელმა წარმატებებმა „მილანს“ თავისი ძალების დიდი რწმენა ჩაუნერგა, რაც შეეხება „ინტერს“, მან მართლაც შეიძინა კარგი ფეხბურთელები, მაგრამ ისინი საჩემპიონო დონისა არ არიან. „სან-სიროზე“ წარმატებით რომ ითამაშოს, გუნდს დიდი პიროვნებები უნდა ჰყავდეს.

მაშ ასე, „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“. კიდევ ასახელებენ ორ სხვა პრეტენდენტსაც.

**— შეუძლია თუ არა „ლაციოს“, მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება?**

— მას მშვენიერი შემადგენლობა ჰყავს. თუკი რომელიმე ძირითადი მოთამაშე არ გაყიდა, მაშინ შეუძლია „სკუდეტოსათვის“ იბრძოლოს. ისე კი „ლაციოს“ ერთი ძლიერი თავდამსხმელის დამატება არ აწყენდა.

**— რა შეიძლება ითქვას ისეთ ამოუცნობ გუნდზე, როგორიც „რომაა“?**

— მან თავისი ძალებისა უნდა ირწმუნოს. ძალები კი, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვებზე მეტი აქვს. იტალიის ჩემპიონატში არავის ჰყავს ისეთი საუკეთესო ნახევარმცველები, როგორიც ემერსონი, დაკური და ტოტი არიან. ეს ხომ უნიკალური ტრიოა. შარშან „რომა“ ძალიან დააზარალეს მსაჯების შეცდომებმა, მოუწესრიგებელმა თამაშმა დაცვაში, ახლა დაცვა გაძლიერდა, მას შემდეგ, რაც ვივუ შეიძინა.

**— რას იტყვით იმის შესახებ, რომ უცხოეთში არ უყვართ იტალიური ფეხბურთი და მუდმივად აკრიტიკებენ მას?**

— იტალიის ჩემპიონატი იმით გამოირჩევა, რომ აქ თავდაუზოგავად უნდა ითამაშო. ჩვენ განსაკუთრებით არ მოვწონვართ ესპანელებს, სადაც სულ სხვაგვარად აგებენ თამაშს. ესპანეთში არ არსებობს ორმაგი დაზღვევა, ეს კი ხელს აძლევს გამოჩენილ თავდამსხმელებს — თუკი ისინი ერთ მცველს გასცდნენ, მაშინ ძალიან უადვილდებათ მოქმედება. აი, ასეთ დიდ თავდამსხმელებსაც კი უჭირთ იტალიურ სტილთან შეჩვევა. დიახ, ერთი მცველი მოატყუე, მაგრამ შენს წინაშე მაშინვე მეორე აღიმართება. რაც შეეხება იტალიელ ფეხბურთელებს, თუნდაც სოლიდურ ასაკში რომ უცხოეთის კლუბებში გადადიან, მათ სულაც არ უჭირთ ვინმესთან შეჩვევა.

მაშ ასე, დასახელებულია 5 წამყვანი კლუბი. არც ისე დიდი ხნის წინათ მათ „პარმასა“ და „ფიორენტინასაც“ უმატებდნენ, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა: „პარმა“ საშუალო კლუბად ითვლება, „ფიორენტინა“ კი, ისიც დიდი ხათრით, ძლივს დაუშვეს „სერია-B“-ში.

**გივი გამრეკელი.**

## „ფიტნესის 12 რაუნდი“

# ძმებმა კლიჩკოებმა წიგნი დაწერეს...

ძმებმა ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნეს საინტერესო წიგნი, რომელსაც „ფიტნესის 12 რაუნდი“ ჰქვია. იგი რუსულად და უკრაინულადაც ითარგმნა.

„კრივი სპორტის მრავალწახნაგოვანი სახეობაა, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ დავწეროთ წიგნი იმ საშუალებების ერთობლიობის შესახებ, რომლებიც კარგი მზადყოფნის მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, როგორ გამოიყურებით ასე კარგად, როგორა ხართ ასეთი მხნეები, მაშინ, როდესაც ამდენი სტრესი გადაიტანეთ. აი, ამიტომაც დავწერეთ წიგნი, სადაც სასარგებლოს ყველა მკითხველი მონახავს“.

ძმები საინტერესოდ წერენ განვლილი სპორტული გზის შესახებ, აცნობენ მკითხველს ფიტნეს-ვარჯიშების საკუთარ სისტემას, ურჩევენ მას, როგორ უნდა ივარჯიშოს, როგორ უნდა იკვებოს, მოკრივეების გარდა, წიგნს მესამე ავტორიც ჰყავს — ვიტალის ცოლი ნატალია, რომელიც საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიყენოს ქალმა იდეალური ფიგურა.

— ჩემს ცოლს, ისევე, როგორც ყველა ქალს, მკურნალობის მთელი სისტემა აქვს, — წერს ვიტალი, — ყველამ კარგად იცის, რა ჭრილობაც მივიღე ლენოქს ლუისთან ბრძოლის დროს. ის საშინელი ჭრილობა სწორედ რომ ნატალიამ მომირჩინა, რომელიც მტკივნეულ ადგილას ყოველდღიურად მკოცნიდა. ამას წინათ ლენოქს ლუისი შემხვდა და მითხრა, რომ ჩემი ჭრილობა უკვე შეხორცდა, აი, მას რომ ცხვირი გალურჯებული ჰქონდა, ახლაც აშკარად შესამჩნევია.

— ეს იმიტომ, რომ ცოლი არა გყავს, ლენოქს, — მხიარულად ვუთხარი.

ცოლი ლუისს მართლაც არ ჰყავს, სამაგიეროდ მსოფლიო ჩემპიონია და 24 ივლისის ცდა, კლიჩკოს ეს წოდება დაესაკუთრებინა, მარცხით დამთავრდა.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ რევანში გაიმართება. ჩვენმა ადრინდელმა შეხვედრამ დამაჯერებლად ვერ უპასუხა, ვინ უფრო ძლიერია. ჭრილობამ ბრძოლა შეაჩერა. ლენოქსი პერიოდულად იმუქრება, რომ დაასრულებს კარიერას, მე კი არ მგონია, რომ იგი ამას ასეთ მაჟორულ ნოტაზე გააკეთებს. გულშემატკივრებს სურთ იხილონ რევანში და ლუისს მოუხდება გამოწვევის მიღება. გამოსარკვევი კი შეხვედრის დრო და ადგილიღა დარჩა.



## ჭადრაკი



# ინდოეთი ყველას გადააჭარბებს?

ჭადრაკის ქომაგები სინანულით აღნიშნავენ, რომ სულ უფრო იკლო პოპულარული სუპერტურნირების რიცხვმა, ახლა სულ სამი ასეთი პირველხარისხოვანი შეჯიბრებაღა დარჩა: ვეიკ-ან-ზეე (ჰოლანდია) იანვარში, ლინარესი (ესპანეთი) მარტში და დორტმუნდი (გერმანია) ივლის-აგვისტოში. „საჭადრაკო რუკიდან“ გაქრა ბელგრადი. ტილბურგი (ჰოლანდია) და კიდევ რამდენიმე შეჯიბრება, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევდა.

ასეთ ვითარებაში, რომ იტყვიან, „ხელი გამოიღეს“ ინდოელმა ორგანიზატორებმა, რომლებიც დეკემბერში მუმბაიაში (ასე ეწოდება ახლა ბომბეის) მართლაც რომ შესანიშნავ, მეოცე (წლევანდელთაგან უმაღლესი) კატეგორიის ასპარეზობას აწყობენ.

ტურნირი წრიული სისტემით იმართება, შემადგენლობა კი ისეთია, რომ იტყვიან, უკეთესი არ შეიძლება. აი, მონაწილეთა სიაც: მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გარი კასპაროვი (რუსეთი), მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (რუსეთი), მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), მასპინძელთა წარმომადგენელი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდი, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტი პეტერ ლეკო (უნგრეთი), გამოჩენილი დიდოსტატები, ცნობილი „ამორძალი“ იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ევგენი ბარეევი (რუსეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) და ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი).

ძნელი სათქმელია, უკანასკნელად როდის მოეწყო ასეთი უძლიერესი შემადგენლობის ასპარეზობა. მასში გამარჯვებული, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც, მსოფლიო ჩემპიონად იქნება აღიარებული. ინდოელები, თავის მხრივ, იმედოვნებენ, რომ ეს პატივი სწორედ მათ წარმომადგენელს ერგება.

## რაგბი

# სორელის რჩეულნი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ სორელმა** დაასახელა იმ 30 მორაგბის ვინაობა, რომლებიც ავსტრალიაში მსოფლიო თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

სორელის მიერ შერჩეული გუნდის შემადგენლობა ასეთია — **შერკინება:** ავთო კოპალიანი, ავქსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, სოსო ნიკოლაენკო, ალეკო მარგველაშვილი, დავით დადუნაშვილი, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გიორგი წიკლაური, გიორგი ჩხაიძე, ილია ზედგენიძე, გრეგუარ იაშვილი, დავით ბოლღაშვილი, გია ლაბაძე, მიხეილ სუჯაშვილი; **უკანა ხაზი:** ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი მოდებაძე, პალიკო ჯიმშერაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, არჩილ ქავთარაშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გოჩა ხონელიძე, ირაკლი მაჩხანელი.

## ჩოგბურთი

# ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

16 სექტემბერს თბილისში სტარტს აიღებს ჩოგბურთელ ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც „ქართუ ბანკის“ ტურნირის სახელით არის ცნობილი.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლეილა მესხის განცხადებით, სავარაუდოდ, წელს ტურნირზე 17 ქვეყნის ჩოგბურთელი აპირებს ჩამოსვლას. უკვე ცნობილია ის ჩოგბურთელი, რომელიც პირველ ნომრად იქნება ტურნირზე. ეს არის მსოფლიო კლასიფიკაციაში 123-ე ადგილზე მყოფი ბელორუსი ოლგა ბარაბანშიკოვა.

ტურნირში იასპარეზებენ ქართველი ჩოგბურთელებიც. მაკა ჩახნაშვილი, ნანა უროტაძე და სოფო მელიქიშვილი ტურნირის ძირითად ბადეში არიან განთესილი, ხოლო ტურნირს საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ თათია მიქაძე, ია ჯიქია და თამთა ზედგენიძე, თუმცა როგორც „ინტერ-პრესთან“ საუბრისას ლეილა მესხმა აღნიშნა, არ არის გამორიცხული, რომ საკვალიფიკაციო ეტაპში სხვა ქართველი ჩოგბურთელებიც ჩაერთონ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი უცხოელი სპორტსმენი ჩამოვა თბილისში. თუ რამდენიმე მოწვეულმა სტუმარმა უარი თქვა თბილისში ასპარეზობაზე, მათ ადგილს ქართველი ჩოგბურთელები დაიკავებენ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საჭადრაკო მიმოხილვა

# გაგიგიათ ასეთი სკანდალი?!



**ასეთი დიდი სკანდალი საჭადრაკო სამყაროს საერთოდ არ ახსოვს. როგორ, მთელი წელიწადნახევრის მანძილზე ამზადებდე ორ „გამაერთიანებელ მატჩს" მსოფლიო პირველობაზე, ვერც ერთი გამართო და ვერც მეორე? ახლა საჭადრაკო სამყარო სრულიად დაბნეულია, ხოლო ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის გადაწყვეტილებამ გაეუქმებინა გარი კასპაროვისა და რუსლან პონომარიოვის ორთაბრძოლა, შოკის მსგავსი სიტუაცია შექმნა, თუმცა არავინ დავობს იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი სრულიად მართალი იყო.**

მაშ ასე, არც კრამნიკ-ლეკოს ორთაბრძოლა გაიმართა და არც კასპაროვ-პონომარიოვისა. ვინ არის დამნაშავე?

დავიწყოთ შედარებით წყნარად მიმდინარე მოლაპარაკებით კრამნიკსა და ლეკოს შორის, თუკი, რა თქმა უნდა, შეიძლება მას წყნარი ეწოდოს. მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში ვერ მოხერხდა ვერც სათანადო სპონსორების გამონახვა (ნაკლებად ცნობილმა ფირმამ „ეინშტეინ-გრუპმა" ჯერ იკისრა შეჯიბრების გამართა, მოჭადრაკეები დააიმედა, შემდეგ კი უკან დაიხია), ვერც ჰონორარის დადგენა (იგი 1 მილიონ ევროს ფარგლებში უნდა ყოფილიყო), ვერც მატჩის გამართვის ადგილზე შეთანხმება. კრამნიკი ფიქრობს, რომ მას სულაც არ ეხება შეჯიბრების საორგანიზაციო მხარე, ყველაფერი უნდა მოაგვარონ და იგი მაშინ დაიწყებს თამაშს. ლეკო, პირიქით, პრაქტიკული საკითხებითაც იყო დაინტერესებული. მას ეხმარება უნგრეთის მთავრობა, რომელსაც, გასაგებია, სურს შეჯიბრება ბუდაპეშტში მოაწყოს. მოლაპარაკების დეტალები არ ხმაურდებოდა, მაგრამ ერთი რამ ხომ ცხადია — მატჩის დაწყება არ მოხერხდა, იგი ჯერ რამდენჯერმე გადაიდო, ახლა კი გამოცხადდა, რომ მეტოქეებმა შეიძლება (!) მომავალი წლის დასაწყისში ითამაშონ.

ის, რაც მეორე, კასპაროვ-პონომარიოვის მატჩის ირგვლივ დატრიალდა, მართლაც რომ უმაგალითოა. უკვე დანიშნული იყო ორთაბრძოლის გახსნის თარიღი იტალიაში — 18 სექტემბერი, გამოქვეყნდა რეგლამენტი — მეტოქეები 12 პარტიას ითამაშებდნენ, დაინიშნა მთავარი არბიტრი, ცნობილი იყო, რომ პირველ სვლებს სიმბოლურად უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტები ლეონიდ კუჩმა და ვლადიმირ პუტინი გააკეთებდნენ და... მატჩი გაუქმდა.

რაშია საქმე?

თუ გარი კასპაროვი, რომ იტყვიან, ყველაფერზე თანახმა იყო, პო-



ნომარიოვმა ფიდეს მრავალი სიძნელე შეუქმნა. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ ადრე მან სამჯერ გადაადებინა მატჩის დასაწყისი, ხან დებულება არ მოსწონდა, ხან ჰონორარს (1 მილიონ ევროს) არასაკმარისად თვლიდა, ამასთან, მისი მოთხოვნები წვრილმან ხასიათს ატარებდა, ისე კი უთმობდნენ და უთმობდნენ. რას იზამდნენ, მსოფლიო პირველობის მატჩი რომ უნდა გამართულიყო.

გამოითქვა აზრი, რომ პონომარიოვი, უბრალოდ, ავად არის და ამიტომ არ მოინდომა თამაში. უკანასკნელად მან ლინარესში ითამაშა, მას შემდეგ მუდმივად ცხოვრობდა იალტაში და არც ერთ ჟურნალისტს არ შეხვედრია. ექსპერტები არ იჯერებენ, რომ მატჩის ჩაშლის მიზეზი მართლაც რაიმე ავადმყოფობაა. ბოლოს და ბოლოს, პონომარიოვი ხომ სულ ახალგაზრდა კაცია (ოქტომბერში 20 წელი უსრულდება), რა უძლურობაზეა ლაპარაკი. მიზეზი, რა თქმა უნდა, სულ სხვაა, მაგრამ დანამდვილებით რომ არაფერი ვიცით?! ზოგი ყველაფერს უკრაინელის ბულგარელ მენეჯერს, საერთაშორისო ოსტატ სილვიო დანაილოვს აბრალებს, რომელსაც „გაქნილ ინტრიგანს უწოდებენ. თითქოს მან ურჩია ახალგაზრდა დიდოსტატს მოლაპარაკების ასე გაჭიანურება, რომლის მიზანი იყო კასპაროვის მოთმინებიდან გამოყვანა და შემდეგ ყველაფრის მისთვის გადაბრალება. იმასაც ფიქრობენ, რომ დანაილოვმა ნამდვილად გადააჭარბა, ყველაფერი ზუსტად ვერ გათვალა და არ ელოდა, რომ ამდენი თავშეკავების შემდეგ ფიდეს პრეზიდენტი ესოდენ მკვეთრ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ქართულად „არ გინდათ და ნუ გინდათო" რომ ჰქვია.

ერთი სიტყვით, ამდენი დადგენილების, გადაწყვეტილების, მოლაპარაკების, ქათინაურების შემდეგ საჭადრაკო სამყარო ცარიელი დარჩა. იყო თუ არა რაიმე მიზეზი უფრო ღრმა და საფუძვლიანი, დღეისათვის არავინ იცის, მაგრამ ხვალ იქნება თუ ზეგ, ყველაფერს ფარდა აეხდება.

ზოგი ექსპერტი ყურადღებას აქცევს ფიდეს პოზიციას — მას თავისუფლად შეეძლო პონომარიოვი დაესაჯა და მისთვის მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა. ამაზე მეტი წესების თუ დებულებების დარღვევა რა უნდა იყოს! ფიდემ ეს არ გააკეთა, პონომარიოვი კვლავ მსოფლიო ჩემპიონია, ეს კი გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

ასეა, მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ფიდე ვალდებულია, გამოსავალი ეძებოს. წარსულში ფიშერის, შემდეგ კი კასპაროვის გაუმართლებელ საქციელებზე მითითება ვერაფერი გამოსავალია. ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტს უკვე წარუდგინეს გარკვეული გეგმა, რომელიც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას ჩიხიდან გამოიყვანს. ამ გეგმის განხილვას ფიდეს კონგრესი ოქტომბერში ათენში აპირებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გეგმა დიდად არ განსხვავდება იმისაგან, რომელიც ფიდემ ამ წელიწადნახევრის წინ პრაღაში მიიღო. მისი მიზანი კი უაღრესად კეთილშობილური იყო — საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება. არაფერი გამოვიდა? იქნება ახლა მაინც...

ნოემბერ-დეკემბერში იალტაში ან კიევში გაიმართება მსოფლიოს ნოკაუტ-ჩემპიონატი ისეთივე ფორმატით, როგორც ადრე. შეიძლება მკითხველს ისიც გავახსენოთ, თუ ვინ იმარჯვებდა ასეთ ნოკაუტ-ჩემპიონატებში: ანატოლი კარპოვი, ალექსანდრ ხალიფმანი, ვიშვანათან ანანდი და რუსლან პონომარიოვი. გარი კასპაროვი, რომელიც მაშინ ფიდესთან დაპირისპირებული იყო, ასეთ ჩემპიონატებს ალმაცერად უყურებდა და მასში არ მონაწილეობდა.

ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და კასპაროვმა პირობა დადო, რომ თუნდაც თებერვალ-მარტში აუცილებლად შეხვდება ამ ახალ ნოკაუტ-ჩემპიონატში გამარჯვებულს. დიახ, მაგრამ ისევ პონომარიოვმა რომ გაიმარჯვოს? არც ეს შესაძლებლობაა გამორიცხული. მაშინ უარის შემთხვევაში მას აღარაფერს შეარჩენენ, ჩამოართმევენ მსოფლიო ჩემპიონის წოდებას და კასპაროვს მეორე ადგილზე გამოსული მოჭადრაკე შეხვდება. ამასობაში, თუ ღმერთი არ გაუწყრათ, თავიანთ ათასჯერ გადადებულ მატჩს ითამაშებენ კრამნიკი და ლეკო. ამ ორი ორთაბრძოლიდან საბოლოოდ დარჩება ორი გამარჯვებული. ჩვენ არავინ დაგვსჯის, თუ პირობითად ასეთებად კასპაროვსა და კრამნიკს დავასახელებთ. ყოველ შემთხვევაში ასე თვლის წინასწარ საჭადრაკო ექსპერტების დიდი უმრავლესობა, თუმცა ჭადრაკში ყველაფერი ხდება. აი, ამ ორ სუპერდიდოსტატს შორის გამარჯვებულს კი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მიენიჭება, მორჩა და გათავდა.

ახლა კი გვინდა ჩვენი მიმოხილვა ერთი ჟურნალისტის ფრაზით დავასრულოთ, რომელსაც სავსებით ვიზიარებთ: „ახლა საჭადრაკო სამყაროს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს — კასპაროვისა და კრამნიკის მატჩი".

**გივი გამრეკელი.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზეა ექიმი. I ნაწილი



სხვისი ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომი ექიმები იშვიათად იცლიან საკუთარი თავისთვის, მით უფრო სპორტულ სექციებში სასიარულოდ, მაგრამ უკანასკნელ წლებში სასიამოვნო ტენდენცია იკვეთება — ახალი საუკუნიდან ქართველმა მედიკოსებმაც გამონახეს დრო ორგანიზმის გასაკაჟებლად და ათლეტიზმის სექციებში უკვე რამდენიმე ექიმი ვარჯიშობს.

დღეს წარმოგიდგენთ მსუბუქ ვარჯიშებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტის, 22 წლის თამუნა ჯამასპიშვილის შესრულებით.

**მკერდის, მხრებისა და ხელის კუნთების ვარჯიშები**

1. **წოლჭიმი შტანგით საშუალო ჭიდით (სურ.1).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

2. **ხელების გაშლა ჰანტელებით ჰორიზონტალურ სკამზე (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

3. **ტრენაჟორების სახელურების მოზიდვა ერთმანეთთან შეხებამდე (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**







გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ადამიანი დროში

# წყალი «მარგებელი» და...

## საკუთარი თავის „კრიშები“

ბუნებას თვითაღდგენისა და გადარჩენის უტყუარი კანონზომიერებაც გააჩნია. ჩემს მოკრძალებულ მოვალეობად მიმაჩნია გაგაცნოთ ორი ახალგაზრდა, რომელთა მსგავს მრეწველებს, სხვათაგან განსხვავებით, ჭეშმარიტად ძალუძთ ქვეყნის გამოყვანა სიღარიბის მორევიდან. ისინი უბრალო ყმაწვილები არიან. ქვეყანას სწორედ მათი იმედი უნდა ჰქონდეს, უნდა სწამდეს და დაუდგეს მხარში, რადგან ხელის შეშველება, ფრთების შესწორება და თანადგომა სჭირდებათ.

ყოველივე ამას ჩოხატაურის ცენტრიდან დამგზავრებული ჭარმაგი კაცი მეუბნება, ცხოვრების სიდუხჭირემ ისტორიის მასწავლებლობას რომ თავი დაანებებინა და ტყისმჭრელობა დააკისრა.

სოფელ ნაბეღლავს რომ მივაღწიეთ, ხეობას ჯერ კიდევ რძისფერი ნისლი ებურა. დილისეული ფაციფუცით ილვიძებდა გარემო. დუდუნით ჩამორბოდა აქაფებული მდინარე, ისმოდა გადაძახილი და ამ ჰარმონიას, ბუნებასა და კაცს რომ დაემყარებინა, ძრავების ტლანქი ხმაური აუხეშებდა.

— ეს არის, ბატონო, წყალი მარგებელი, — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა და მდინარის გაღმა რამდენიმე დაუმთავრებელ შენობას დაუმიზნა თითი.

მაინც როგორ არის მოწყობილი წუთისოფელი. ამ კაცს რომ არ შევხვედროდი, ახლა მანქანიდან რომ გადავიდა მძიმე ზურგჩანთით, რაღაც დამაკლდებოდა, რაღაცას დავკარგავდი. მისი გვარი არ ვიცი, სახელი კი მითხრა, ამირანი ერქვა. სიმართლე რომ ვთქვა, უკეთეს მეგზურს ვერც ვინატრებდი, რადგან მისებრ ზომიერად ვერავინ დამიხასიათებდა რაიონში შექმნილ ვითარებას. ზოგი შრომობს, ზოგი ფუყედ ილევწის და ავსაც რომ იქმოდეს, საქმეს ეძახის ნაკეთებსო, — მითხრა. ჭრელია ქვეყანა და იმითაც საინტერესო არისო ცხოვრება. აბა, ყველაფერი ერთ თარგზე და ერთ ფერში ქე გვქონდა. სახალინიდან გონიომდე ერთ წიგნს სწავლობდა ყველა და ქე ვნახეთ, სანამდე მიგვიყვანაო ამან. ხორკლიანი ენა ჰქონდა, რაღაცნაირი, იუმორში გაძრული. ჩემი მომავალი მასპინძლებიც გამაცნო: ახალგაზრდა ბიჭებიაო, ცდილობენო, წვალობენო. კაი ფუძეზე დგანან და არა მგონია, დაუცდეთო ფეხი.

კი მაგრამ, ამ დაუსრულებელ შენობაში როგორ მოათავსეს ნაბეღლავის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა-მეთქი, ვიკითხე.

პასუხი ვერ მივიღე, ჩემი მეგზური ავტობუსის გაჩერებასთან იდგა. გადავჭერი ხიდი, ატალახებულიყო ნაწვიმარი გზა, მივაღწიე ქარხნის ალაყაფს. ორი ბომბორა ძაღლი შემომხვდა. ჩემი ბედი, რომ დაბმულები იყვნენ. საყარაულო ჯიხურიდან თხელ-თხელი კაცი გამოვიდა; სოფლის მასწავლებელს უფრო ჰგავდა. ხლების მიზეზი ვამცნე. შორს დაიჭირა. არ მიგიღებთო ჩვენი დირექტორი. მიზეზი ვკითხე. იყვნენო აქ ჭიპგამოჩენილი, საკინძეჩახსნილი გოგონებიო, რაღაც იჟღურტულეს და გაზეთებში სინამდვილისგან ათასი ვერსით დაშორებული ამბები დაწერესო. დირექტორს მაინც დაუძახა. ალბათ, ჩემს ასაკს სცა პატივი.

წარმოების დირექტორი გია გოგოლაძე რეზინის ჩექმებითა და გაქექილი ჯინსებით არაფრით გამოირჩეოდა ქარხნის ეზოში მოფუსფუსე მუშებისაგან. ბულდოზერებსა და თვითმცლელებს დიდი გასაქანი მისცემოდათ. შემოჰქონდათ ღორღი, ცლიდნენ, ასწორებდნენ, ტკეპნიდნენ. აქეთ სამი-ოთხი დაუმთავრებელი ნაგებობა იდგა: ზოგიერთი გადასახურავად გამზადებული, ზოგიერთიც ჯერ კიდევ ხარაჩოებში.

— წამობრძანდით, აქ ვერაფერს გავაგონებთ ერთმანეთს. — მეუბნება გია გოგოლაძე.

შევდივართ საწარმოო კორპუსში. სივიწროვეა. კედლებთან დანადგარებია დალაგებული. ჩამომსხმელ ხაზს ქალები დასტრიალებენ. პატარა ოთახში სამიოდე სკამია, მაგიდა, კუთხეში კომპიუტერი ციმციმებს.

**— ვიწროდ ყოფილხართ.**

— ორ-სამ თვეში მოგვარდება ყველაფერი, — ახალგაზრდა დირექტორის ნათქვამს იმედიანი პათოსი ახლავს.

**— გამიგონია, რომ ნაბეღლავის მინერალური წყალი ხარების აღმოჩენილია. ახლომახლო საძოვრებიდან სწორედ აქ ჩამოდიოდნენო დასარწყულებლად.**

— დიახ, ასე ყოფილა, — დამეთანხმა დირექტორი, — გაუსინჯავს შემდეგ ხალხს, მოსწონებია...

**— სახელწოდება — წყალი „მარგებელი“ როგორ შეარჩიეთ?**

— დიდ ვახუშტი ბატონიშვილს დავესესხეთ. წყალი, თავისი კეთილშობილი თვისებებით, მართლაც რომ, პასუხობს სახელწოდებას. მას ანალოგი არ მოეპოვება და, რაც მთავარია, ვერ გააყალბებენ.

**— მაშ, ფალსიფიკაცია გამორიცხულია?**

— დიახ, და ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებელი. ვიცოდი, რომ ნაბეღლავის ქარხანა ქვეყანაში განხორციელებელი დიდი ძვრების წინ, ამოქმედებიდან 30 წლის შემდეგ გაჩერდა. შეწყვიტა პროდუქციის გამოშვება და ლამის იყო, იქვე აღმართული პროფკავშირების კუთვნილი მრავალსართულიანი დასასვენებელი სახლის ბედი გაეზიარებინა, რომელიც გაძარცვული და გავერანებულია.

**— თქვენ როგორ მოგივიდათ წარმოების ამოქმედების იდეა?**

— მე აქ არ დავბადებულვარ, თორემ გაზრდით აქ გავიზარდე, — ამბობს გია გოგოლაძე, — მამაჩემი მექანიკოსად მუშაობდა და ყველაფერი ხუთი თითივით ვიცოდი. თან გული მიკვებოდა, როცა ვხედავდი, რომ წინა თაობის მიერ სიმწრით გამართული ქარხანა პარტახდებოდა. ამ შვიდი წლის წინათ, მაშინ ოცდასამი წლის ვიყავი, ერთ ახალგაზრდა კაცს შევხვდი, მიხეილ სვიმონიშვილს. ახალი დაბრუნებული იყო შვეიცარიიდან, სადაც მარკეტინგის დარგში განათლება მიეღო. ვითათბირეთ, ავწონ-დავწონეთ, შევადგინეთ ბიზნესის გეგმა და...

სიტყვას საქმე მოჰყოლია, როგორც დასაწყისს სჩვევია, იმედი და ოპტიმიზმი თავზესაყრელი ჰქონიათ. თუმცა სიძნელეებიც უფრო მეტი ყოფილა, ვინემ წარმოედგინათ...

— სხვა რომ არაფერი, ერთ ამბავს მოგიყვებით, — წარსულ გაჭირვებას, — ღიმილით იხსენებს, — ვიშოვეთ ბოთლები, ეტიკეტები. გავუშვით ქარხანა და ჩამოვასხით წყალი. ჩავიტანეთ თბილისში სანიმუშო პარტია, ჩამოვიარეთ მაღაზიები. ვის ახსოვხარ, ვის დაკარგვიხარ? ერთგან ისიც გვითხრეს, ვიცით, ეგ თეთრი ღვინო მწკლატე და უგემურიაო. თავად განსაჯეთ, რა დღეში ჩავვარდებოდით.

ახალგაზრდებმა ფარხმალი არ დაყარეს. შორეული გზებისაკენ გაუტიეს. თან პროდუქციის დიზაინსა და სავაჭრო სახეზე იზრუნეს. ნანატრი წარმატება არ ჩანდა, მაგრამ საქმე დაიძრა და...

— სამი წლის წინათ პირველი დიდი პარტია გავაგზავნეთ საექსპორტოდ, — ამბობს წარმოების ბუღალტერი გურამ თოდრია. — მერე ავიდგით ფეხი. წლეულს, ზაფხულის სამ თვეში მილიონ ნახევარი ბოთლი ჩამოვასხით. ჩვენი მომხმარებელია მოსკოვი, კიევი, ბაქო... და შვეიცარია.

**— შორს გაგიტევიათ.**

— უფრო შორსაც ვუმიზნებთ, — იცინის გია. — ახლა მტკნარ წყალს „ბახმაროსაც“ ვუშვებთ. პირველი ორმოცდაათი ათასი ბოთლი მიიღო მომხმარებელმა და კმაყოფილებიც არიან.

**— მშენებლობათა სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, დიდი სამომავლო გეგმები უნდა გქონდეთ.**

— დიახ, სწორედ ასეა. ამ კორპუსში, — ფანჯრიდან, სახურავში მოყვანილ გრძელ შენობაზე მიუთითებს, — ვდგამთ ავსტრია-გერმანული ფირმა — „კოსმიეს“ ჩამოსასხმელ ხაზს, რომლის დამონტაჟების შემდეგ ოთხჯერ გაიზრდება მწარმოებლობა. დაიხვეწება ჭურჭლის დიზაინი, გაუმჯობესდება ხარისხი, გარდაიქმნება საკომპრესორო საამქრო. გვექნება სიახლე: ვაშენებთ სამკურნალო კორპუსს, ჯერჯერობით 14 აბაზანით. განზრახული გვაქვს მთელი რიგი სხვა გარდაქმნები. ასე რომ, ნოემბერში თუ გვეწვევით, ბევრ სიახლეს იხილავთ. უპირველესი ამოცანა მაინც ბაზრის გაფართოებაა. ამ საკითხს აგვარებს სათაო ოფისი, რომელსაც მიხეილ სვიმონიშვილი უდგას სათავეში. ამ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად იგი ხვალ მიემგზავრება შვეიცარიაში, სადაც ჩვენი პარტნიორი კომპანიაა. სულ მალე გადაწყდება პროდუქციაზე საერთაშორისო სერტიფიკატის საკითხი. ეს ურიგო როდია. რაც მე ესპანეთში, ბრაზილიაში, გერმანიასა თუ აფრიკაში ლამაზ ბოთლებში განთავსებული უგემური წყალი მინახავს, აქაურ წყალზე ვინ უნდა თქვას უარი? ესეც ახალი ათასები, მილიონები...

**— რამდენი კაცი გყავთ დასაქმებული?**

— სულ ასამდე ვართ. ხელფასი ასიდან სამას ლარამდე ადის. გარდა ამისა, გვაქვს უფასო კვება.

მოდი და დამალე სიხარული, ნუ აღფრთოვანდები და ამ სანთელივით ბიჭს, მის პატარა კოლექტივსა თუ მთავარ მამოძრავებელ ბირთვს: ლადო ჩხიკვაძის, ლელა მგელაძისა და სხვათა სახით, ნუ მოეფერები, ნუ გაამხნევებ. ან სათაო ოფისის ხელმძღვანელზე როგორი მოწიწებით ლაპარაკობენ, რა იმედი და მოკრძალება ჩანს მისდამი.

ერთი წუთის შემდეგ მიხეილ სვიმონიშვილს ვესაუბრები.

— კარგია, რომ ქვეყნის უმთავრესმა გაზეთმა ჩვენი საქმიანობისთვის მოიცალა, გმადლობთ. რა გაინტერესებთ?

**— უპირველესად ის, რომ ჩვენში გავრცელებულია აზრი, ე. წ. „უკრიშოდ“ ფეხს ვერ გადადგამს ადამიანი. რას იტყოდით ამის თაობაზე? ამ საკითხზე ტელეშოუები იმართება, პრესაც ხმაურობს...**

— ვიტყოდი იმას, რომ საკუთარი საქმისა და თავის „კრიშა“ თავად უნდა იყო. არ უარვყოფ, რომ მეწარმეს დიდი სიძნელეები ელობება წინ, მაგრამ ჩვენ „უკრიშოდაც“ ვახერხებთ არსებობას. როგორც ვთქვი, ყველამ თავისი საკეთებელი უნდა აკეთოს. პოეზიასაც დავიხმარებ: „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო“. ვფიქრობ, ჭეშმარიტი ნათქვამია. ჩვენ ამ პრინციპით ვილით.

...ხეობაში ადრე საღამოვდება. ისევ გადაძახილით ივსება სოფელი. ისევ გნიასობენ ძაღლები, ბღავის ნახირი, ქოთქოთებს მძლავრი ტექნიკა და დუდუნით მიედინება მდინარე.

აქ, ხევის ძირში ჩამალულ პატარა საწარმოში კი მსოფლიოს ქვეყნებში გასაგზავნი წყალი „მარგებელი“ ისხმება. ამ საქმეს საიმედო ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა კაცები უდგანან სათავეში.

**დავით ასკურავა,**
„სრ“ საკ. კორ.
ნაბეღლავი.

## ტელეკომპანია „იმედი“ გთავაზობთ

# სატელევიზიო თოქშოუ „არჩევანი — თქვენ“



**„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მდინარებს. არჩევანს ახლავს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა“.**

**ჯანრი კაშია.**




არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, — ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი — თქვენ“** დედააზრი, ეს არის პირველი თოქშოუ საქართველოში, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია — ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ აუდიტორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ მძაფრი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაძაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი ზნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.

**ავტორი და მასპინძელი — ჯანრი კაშია.**
**პროგრამის ხელმძღვანელი — ქეთევან კაპანაძე.**
**რედაქტორი — თამარ ებრალიძე.**


## საქართველოში პირველად

### მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

# გთავაზობთ

**ჟურნალისტის** პროფესიის დაუფლებას ევროპული სტანდარტების დონეზე შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკისა“** და ტელეკომპანია **„იმედის“** ბაზებზე.

*გეძლევათ უნიკალური შანსი*

პარალელურად დაეუფლოთ **მეორე** პროფესიას

- **პროგრამის წამყვანი და სარეჟისორო ხელოვნება**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობები**
- **პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია**
- **სამართალმცოდნეობა**
- **ქართულ-ევროპული ფილოლოგია**
- **ტურიზმი**
- **ეკოლოგია**
- **ეკონომიკური ურთიერთობები**

და სწავლა განაგრძოთ **ერთწლიან მაგისტრატურაში.**

გათვალისწინებულია **შეღავათები, სტიპენდიები და დასაქმება.**

ფუნქციონირებს **კოლეჯი და ფილიალები**

**ოზურგეთში, სამტრედიაში, ზუგდიდში**

**საბუთების მიღება 29 აგვისტომდე.**
**მ. კოსტავას ქ. 14, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**
**IV სართული, ოთახი 19.**
**ტელ: 93-35-99; 93-26-99; 38-94-33;**
**899 24-18-86; 899 17-21-21.**





გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მტერი — ჰედონიზმი?

# დაკარგული სირცხვილის გრძნობის ძებნაში

## შიშველი სიმართლე

**ტოტალური გაშიშვლებული სხეული გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და ახალი საუკუნის დამდეგის ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო კულტუროლოგიური, სტილისტიკური, მოდური ტენდენციაა. სპორტულ ინდუსტრიაში დაბანდებულმა ათობით მილიარდმა დოლარმა წარმოშვა ახალი სხეულისა და ახალი ტანსაცმლის მოდა.**

**როცა ფიზიოლოგი კიტაევ-სმიკო მუშაობდა ჟუკოვსკის საიდუმლო ინსტიტუტში, ამერიკელებმა მისი გვარის მეორე ნაწილი გაშიფრეს როგორც** Специальный Монтажный Институт Космонавтики **(კოსმონავტიკის სპეციალური სამონტაჟო ინსტიტუტი). კიტაევი ამაში მოგვიანებით არწმუნებდა თავის ერთ-ერთ ნაცნობს, რომლის მამაც თარჯიმნად მუშაობდა მთავარ სადაზვერვო სამმართველოში.**

**ამჟამად ლეონიდ კიტაევ-სმიკო კოსმონავტიკის პრობლემებით აღარ არის დასაქმებული, თუმცა, მისი სამეცნიერო ინტერესების თვალსაწიერი კვლავ ძალზე ვრცელია. მეცნიერმა მე, მაგალითად, თითქმის დამარწმუნა, რომ თუ შემდგომშიც არ მოვიშლით და ნახევრად შიშვლები ვივლით, დიდი დღე აღარ გვიწერია.**

— თუ დაკვირვებიხართ, — დაიწყო საუბარი კიტაევმა, — ამჟამად ყველაზე გავრცელებული დაავადებებია ეგრეთ წოდებული მამაკაცური სნეულებანი. სადღესიოდ ძალზე გავრცელებულია პროსტატიტი, იმპოტენცია, პროსტატის კიბო. ქალის დაავადებებზე კი ძალზე ბევრს და დიდხანს მუშაობდნენ, რასაც მამაკაცის სნეულებებზე ვერ ვიტყვით. ინსტიტუტში სწავლის ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ 10 საათი დაეთმო უროლოგიას, ანდროლოგია კი, შეიძლება ითქვას, თითქმის ახალშობილი მეცნიერებაა. მამაკაცურ დაავადებებს სერიოზული ყურადღება დაეთმო მხოლოდ ამერიკაში. იქ 20-30 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სპეციალური გამოკვლევები. და აღმოაჩინეს, რომ 60 წლის ასაკს გადაცილებულ მამაკაცთა 80 პროცენტს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გარდაიცვალნენ, ყველა სახის სნეულებასთან ერთად, წინამდებარე ჯირკვლის კიბოც ჰქონდათ, ანუ, ისინი აღესრულნენ უფრო ადრე, ვიდრე დაავადების სიმპტომებმა იჩინეს თავი. ძალზე საინტერესოა ისიც, რომ ასეთ დაავადებებს პრაქტიკულად არ უჩივიან მუსლიმანური ცივილიზაციის მამაკაცები, შორეული აღმოსავლეთის ხალხების წარმომადგენლები. შორეულ აღმოსავლეთში, მაგალითად, მამაკაცები ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობენ, მამაკაცურ დაავადებათა პროცენტი კი მცირეა. საქმე კი ის არის, რომ ევროპელი და ამერიკელი ქალები ქუჩებში შიშველი დადიან, აღმოსავლეთის ხალხებში კი — ჩაცმულები.

**— სად ნახეთ ჩვენთან ქუჩაში მოსიარულე შიშველი ქალები?**

— როცა ვამბობ „შიშველს“, ვგულისხმობ არა მთლად შიშველს, არამედ გაშიშვლებულ მხრებს, მკლავებს, ახლა ამას დაემატა — მუცლებიც, ტანზე შემოტმასნილი ჯინსები... მუსლიმანებსა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებში კი ქალი მთლიანად ტანსაცმლით არის შემოსილი. მუსლიმანებში ხშირად იმასაც კი შევხვდებით, რომ ქალებს ხელის ან მკლავის გამოჩენის უფლებაც არა აქვთ, რადგან ქალის ხელი, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს ეს, სასქესო ორგანოდ ითვლება. სახე ხომ დამალული აქვთ, უკვე არაფერს ვამბობ ფეხებზე. და ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ მამაკაცს არ აღუძრან სექსუალური ლტოლვა. თუ გავიხსენებთ, მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წარსულის რუსეთს, რუსი ქალებიც ტანისამოსით მალავდნენ ქალურ „ღირსებებს“. ერთი სიტყვით, ყველა ტრადიციული ქალის ტანსაცმელი ძალზე მოხერხებულია, ხალვათია, მაგრამ მთლიანად დახურულია. და პროსტატის კიბოც წინათ პრაქტიკულად არ გვხვდებოდა. ახლა კი, ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის ჩვენთანაც, მამაკაცის დაავადებები არა მარტო ხშირად გვხვდება, არამედ ძალზე გაახალგაზრდავდა კიდეც. ასეთი რამ აღმოსავლეთში არ ჭრის. ახლა კი თვალი გადავავლოთ გადაშენებულ ცივილიზაციებს და დავინახავთ, რომ იქაც გამეფებული იყო სხეულის კულტი. ძველი ბერძნები თვით ოლიმპიურ ასპარეზობებზეც კი, მხოლოდ შიშვლები გამოდიოდნენ. და აი, შედეგიც — ყველა ბერძენი ამოწყდა. ის ადამიანები, რომლებიც დღეს სახლობენ საბერძნეთის ტერიტორიაზე, სულ სხვა ხალხია. მათი ენაც კი არ წააგავს ძველბერძნულს. ძველი რომიც, თავისი არსებობის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ასევე სიშიშვლისა და გარყვნილების ჭაობში ჩაეფლო და მსხვერპლიც გახდა. ხომ ხედავთ, რომაელებიც ამოწყდნენ. ჰოდა, დარჩა ამ იმპერიის ადგილზე მიტოვებული და დანგრეული ქვეყანა, სანამ იქ მივიდოდნენ ქრისტიანები, რომელთა შთამომავლებიც დღევანდელი რომაელები არიან. აი, რა არის მნიშვნელოვანი: ხალხები, რომლებიც შიშვლდებოდნენ, გაქრნენ, „ჩაცმული“ ხალხები კი დღესაც ცოცხლობენ და ბედნიერად გრძნობენ თავს.

**— მაინც, რა საერთო აქვს ამას პროსტატის კიბოსთან?**

— მამაკაცთა დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზია დაუკმაყოფილებელი ქინი. ვთქვათ, ხედავს იგი გაშიშვლებულ ჭიპს. მამაკაცი უყურებს მას, ქვეცნობიერადაც კი მოქმედებს პროცესი: იგი უარყოფილია!

**— რატომ ერთბაშად „უარყოფილი“?**

— იგი ხომ ვერ დაიკმაყოფილებს ყველა იმ სურვილს, რომელიც ქუჩაში აღეძვრება! ეს ფიზიკურად შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ ქალის მოდას. ყველგან ვხედავთ გაშიშვლებული სხეულის ნაწილებს, ქვეცნობიერებას კი ვერ მოატყუებ. იგი ავტომატურად აღძრავს ქინს. ასეთი დიდია ლტოლვა, მაგრამ დაკმაყოფილების შესაძლებლობა კი ძალზე მცირე. თქვენ შეიძლება მკითხოთ: რა კავშირი აქვს ყოველივე ამას დაავადებასთან? გავავლოთ ანალოგი ცხოველთა სამყაროსთან. ცხოველებში როგორ ხდება? თუ მამრი არასაკმარისად თამამია, სუსტია, მშიშარა, ზანტი, მდედრი ამას ამჩნევს და ხვდება, რომ ასეთისგან შთამომავლობის ყოლა არ ღირს. და უარყოფს მას. ხოლო იმისთვის, რომ ასეთმა უარყოფილმა მდედრი სადმე ჩუმად მაინც არ მოიგდოს ხელთ, ბუნებამ აამოქმედა დამცავი მექანიზმი — წარმოიქმნება წინამდებარე ჯირკვლის ანთება, იმპოტენცია. ასე რომ, დეფექტის მქონე ინდივიდი გამოირიცხება მდედრის სიყვარულის მოპოვებისა და შთამომავლობის წარმოშობის პრეტენდენტთაგან. თვითდამცირების ასეთივე მექანიზმი მოქმედებს მაშინაც, თუ მამრს რომელიმე სხვა მამრი მოერევა. მაგრამ ისეთი მამრებიც გვხვდება, რომლებსაც ყოველივე ეს კიდევ უფრო უმძაფრებს სქესობრივ ლტოლვას. მათ იმპოტენცია ვერ აკავებს და ვერ უკლავს სურვილს — სწორედ ასეთებს უვითარდებათ კიდეც კიბო.

**— თქვენი აზრით, პროსტატიტს შეიძლება ვუწოდოთ სექსუალურად წარუმატებელთა დაავადება. მე მგონი, თქვენ რაღაცას ამარტივებთ. ადამიანები ხომ ცხოველები არ არიან, სიყვარული ადამიანებში ძალზე რთული რამ არის. მამაკაცს შეიძლება „ყელზე ჩამოეკიდოს“ ასობით ქალი, ანუ იგი სულაც არ არის „უარყოფილი“, მაგრამ მას სჭირდებოდეს სხვა, სწორედ ის, რომელიც არანაირ ყურადღებას არ აქცევს...**

— რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად ხდება ჩვენში, სწორედ ამიტომაც ვართ ადამიანები. მაგრამ მე ოდნავ სხვას ვგულისხმობ. არსებობს ცხოველური ორგანიზმის საბაზო კანონები. ხედავს მამაკაცი ქალის შიშველ სხეულს — და რეაგირებს. ბუნებამ ისე ჩაიფიქრა, რომ ამაღლებული სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზმში რაღაც მოიშლება, რეგულარული მოშლილობა კი ავადმყოფობის გამომწვევია. ნორმალური ცხოველი ცდილობს გაექცეს ასეთ უსიამოვნო ემოციებს. ჩვენ კი, არანორმალურებივით, სპეციალურად ვახდენთ მათ პროვოცირებას ქალის მოდის მეშვეობით.

**— საინტერესოა, როცა მაისურიდან მოსჩანს მამაკაცის შიშველი ტორსი, ქალებზეც ახდენს ეს უარყოფით გავლენას?**

— რა თქმა უნდა, ახდენს. მაგრამ მამაკაცებსა და ქალებს ოდნავ განსხვავებული სტიმული აქვთ. დიახ, ქალი ყურადღებას მიაპყრობს ლამაზ მამაკაცს — იგი ხომ სიცოცხლისუნარიანი შთამომავლობის გარანტია. მაგრამ ქალისათვის ასევე ძალზე მიმზიდველია მამაკაცის ინტელექტი, მისი გონება. და მესამე სექსუალური სტიმულია ქალისთვის სიმდიდრე. დაე, მამაკაცი იყოს შეუხედავი, სულელი, მაგრამ სიმდიდრე ქალზე მაგიურ გავლენას ახდენს. ანუ, მე მსურს გითხრათ, რომ ქალს სექსუალური ლტოლვა შესაძლოა აღეძრას იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად ლამაზია მამაკაცი. კაცი კი აუცილებლად რეაგირებს ქალის სხეულის სილამაზეზე.

**— განა მამაკაცებს არ უყვართ მდიდარი ქალები?**

— ეს სულ სხვა რამეა! არის შემთხვევა, როცა კაცი ცოლს ართმევს ფულს, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ცოლისადმი მის დამოკიდებულებაზე. იგი, უბრალოდ იღებს ფულს, რათა დახარჯოს... ქალი კი ნამდვილ ლტოლვას განიცდის მდიდარი მამაკაცისადმი, სურს იგი. ეს ყველაფერი ბიოლოგიაა. მამაკაცის გარეგნობაზე თუ ვილაპარაკებთ, ლუდისმოყვარულთა ღიპებიც შეიძლება მივაკუთვნოთ მამაკაცთა დაავადებებს. არადა, რამდენი ღიპიანი კაცია! როგორც ფსიქოფიზიოლოგს, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ღიპიც ამა თუ იმ დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული სტრესია. როცა კაცი ზედმეტს ჭამს, იგი ქვეცნობიერად „ნთქავს“ თავის მეტოქეს, ნამდვილად არსებობს ასეთი, თუ იგი ფანტაზიის ნაყოფია, ანუ ისევ და ისევ განიცდის „უარყოფილი კაცის“ კომპლექსს. ტანსრული ქალი ჯანმრთელია, როცა მას მრგვალი თეძოები და მოზრდილი მკერდი, მაგრამ ვიწრო წელი აქვს, პათოლოგიური სიმსუქნე კი დაუკმაყოფილებლობის შედეგია. თუ მამაკაცი „ნთქავს“ მეტოქეს, მაშ ჭამაში გაუწონასწორებელი ქალი ქვეცნობიერად ვის „შეჭმას“ ცდილობს? სწორედ იმ ნადავლისა, რომელიც უნდა მოუტანოს მას მოყვარულმა მამრმა, მაგრამ — არ მოაქვს. ჰოდა, ქალიც გაუთავებლად ჭამს, რათა რაღაცით მაინც აინაზღაუროს უსიყვარულო ცხოვრება. ასეთ ქალებს გაუქრათ წელი, გამოეზარდათ ღიპი, თუმცა, შესაძლოა, მათ შედარებით ვიწრო თეძოები და მცირე ზომის მკერდი ჰქონდეთ. ქალის დაავადებათა გამომწვევი მიზეზი გახლავთ არა შიშველი მამაკაცი ქუჩაში, არამედ ის, რომ იგი მოკლებულია ბავშვის გაჩენისა და მისი გამოზრდის უნარს. ამ ბუნებრივი პროცესების უქონლობას ორგანიზმი აღიქვამს იმის მინიშნებად, რომ ამ ქალს სხვა ამჯობინეს. ამ შემთხვევაში კვლავ ამოქმედდება განადგურების მექანიზმი — რაში სჭირდება ბუნებას ისეთი ქალი, რომელიც არ სურთ? და პირიქით, ამას მედიცინაც აღიარებს, ორსულობა და ბავშვის ძუძუთი კვება ხშირად თავიდან აცილებს ქალის ორგანიზმში კიბოს საწყისი ნიშნების გამოჩენას. რატომ იწვევს მამაკაცში ვნების აღძვრას სწორედ თეძოები და მკერდი? მოხდენილი თეძოები მოწმობს იმას, რომ ქალს შეუძლია ჯანსაღი ბავშვი შვას, მკერდი კი მიუთითებს, რომ იგი კარგად გამოკვებავს ახალშობილს. ყველაფერი ძალზე მარტივად არის. ბუნებას ვერ მოატყუებ.

**— გამხდარ მანეკენებზე რას იტყოდით?**

— სილამაზის თანამედროვე გამხდარი სტანდარტები გადაშენების მანიშნებელია. ჩვენ აღარ გვსურს ბავშვების გაჩენა, ვცდილობთ მხოლოდ განცხრომასა და ნეტარებას მივეცეთ. ამიტომაც ქალები იხდიან ტანს, ანუ განცხრომისათვის უწევენ ექსპლუატაციას თავიანთ სხეულს, იკლებენ წონაში, რადგან მამაკაცებს სურთ უნაყოფო ქალები. ახლა კი, შევხედოთ სილამაზის ტრადიციულ სტანდარტებს: ქალი მუდამ ფერხორციანი იყო. წინათ გოგონას ყელს ძაფითაც კი უზომავდნენ, და როცა ძაფი მჭიდროდ შემოეკვრებოდა კისერს, ითვლებოდა, რომ ქალიშვილი მომწიფებული იყო.

**— თქვენ რაღაც აღფრთოვანებით ლაპარაკობთ ველურებზე — ყელზე ძაფები, შთამომავლობა... არანაირი სურვილი არ მაქვს ყელზე ძაფშებმულმა ან ჩადრჩამოფარებულმა ვიარო... ხელები კი ქალისათვის დღეს სამუშაო ორგანოა.**

— ჰოდა, სწორედ ისე გამოდის, რომ ველურები ჩვენ ვყოფილვართ. ჩვენ ხომ გადაშენების პირას ვართ მისული, სწორედ ამის გამო...

**— იმიტომ გვემუქრება გადაშენება, რომ ქალებმა ჭიპი გამოაჩინეს?**

— ჰედონიზმის გამო! მისი შემადგენელი ნაწილია მუდმივი და არარეალიზებული სექსუალურობა. ჰედონიზმის იდეა იწვევს ადამიანების მოსპობას. ხედავთ, მოდის ძაღლი — მსუქანი და ავადმყოფი. რატომ?

**— იმიტომ, რომ, ალბათ, მთელი დღის განმავლობაში ჭამს.**

— ჩვენი კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ — იმიტომ, რომ ყოველთვის იკმაყოფილებს თავის სურვილებს. ასეთი სურვილი კი სულ ახალ-ახალი წარმოიქმნება, და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ძაღლის ცხოვრება საკმაოდ მოსაწყენია და იგი საჭმელით ერთობა. ჩვენ დღეს ვერთობით სექსით, ჯილდოდ კი კიბოსა და იმპოტენციას ვიღებთ. არადა, ცხოვრება ხომ ყოველთვის ზღუდავდა ზედმეტი სიხარულის განცდის შესაძლებლობას, სიხარულს მწუხარება ენაცვლებოდა.

**— ალბათ, იცით, რომ დღესაც არსებობენ ტომები, რომლებშიც ყველა შიშველი დადის, თანაც სექსსაც საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან.**

— ასეთი ტომის მკვიდრთა სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა. არ არსებობს არანაირი ცივილიზაცია, და ისინიც, როგორც წესი, მოხუცებულობამდე ვერ აღწევენ. ეს სათვალავში ჩასაგდები არ არის.

**— მაშ, რა მოვუხერხოთ გაშიშვლებულ მუცელს? ავკრძალოთ? ერის საკეთილდღეოდ?**

— ამის აკრძალვა შეუძლებელია, რადგან პროცესი უკვე დაიწყო. თქვენ ხომ უკვე ველარ გაიძულებთ ჩადრი დაიხუროთ?!

**— ვერ მაიძულებთ. აღარ ყოფილა ჩემი საშველი?**

— უბრალოდ, გაშიშვლებული ხალხები ბუნებრივად ამოწყდებიან. რა თქმა უნდა, მთლიანად კი არა, არამედ იმ სახით, რომლითაც ახლა არსებობენ. როგორ მოხდება ეს? მაგალითად, გაჩნდება ბევრი, ახლანდელზე გაცილებით მეტი კულტურათშორისი ქორწინებები, და უფრო ცხოველუნარიანი კულტურა, ვთქვათ, ისეთი, რომელშიც ქალები გაშიშვლებულები არ დადიან, შთანთქავს გედონისტიკურს. ამასთან, ახალმა ადამიანებმა, როგორც ბერძნებმა, შესაძლოა, თავიანთ თავს უწოდონ რუსები, ფრანგები, ან ამერიკელები. ოღონდ, სრულიად განსხვავებულები იქნებიან და სხვა ენაზეც ილაპარაკებენ. მაგალითად, რუსულად ან ინგლისურად, ოღონდ ირანული ან აზერბაიჯანული კილოთი.

**აი, ასე ცდილობდა ჩემს დარწმუნებას ლეონიდ კიტაევ-სმიკო. და თითქმის დამარწმუნა კიდეც, თუმცა იგი ჩემს გადაკეთებას უკვე ველარ შეძლებს. ალბათ, ჩვენი ხელახლა აღზრდა შეუძლებელი იქნება — ზაფხულობით მაინც ნახევრად შიშვლები ვივლით. იქნებ, კიტაევ-სმიკო პესიმისტადაც ჩავთვალოთ, მაგრამ ამით განა რამე შეიცვლება?**





**მაია კულიკოვა,**
**„ოგონიოკი“, 2003 წლის 8-14 სექტემბერი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოეზია

ომარ შამათავა

# ოდა ქართული სულის ერთობას

## ნაწყვეტი პუბლიცისტური პოემიდან



I
ამერთ და იმერთ, —
ვაჟკაცური მრავალი ჰობით,
პურის და ღვინის ერთად ლოცვით,
ლექსებში თრობით,
მონატრებულებს
ერთმეფობას, ერთხელმწიფებას,
ერს — უმამაცესს,
ერთი ფესვით და ნაფუძრებით, —
შრომაც და ბრძოლაც
ერთი დროშით ხელეწიფება, —
ვერც წარღვნა გაჰყრის,
ვერც მიწისძვრები.

II
ქართნო — გულქართლნო,
გულმართალნო,
ძმანო კახელნო, —
ჯილაგიანნო,
დალოცვილო მეოჯახენო,
შეჯიბრებულნო ერთმანეთთან
ვაზის წიდვაში,
საღვთო საქმეშიც,
საეროშიც — სასახელოში.
უპირობონო,
შეუცვლელნო ხვნაში თუ მკაში,
აკვნის რწევაში,
ხმლის ქნევაში,
ომის ლელოში, —
შემკრებად მთელის —
დავითიან საქართველოსი —
პირველები ხართ საქართველოში...
ქართულ მხარეებს,
მტერთან თითი
რომ არ მოკაკვონ, —
თქვენთან ყოფნა და თქვენი ხელი
ცამ არ მოაკლოთ!

III
ლიხის გადაღმა ქართულ
ფუძედ იმერეთია.
იმე, ღმერთია ამ მიწაზე სული
ქართული!
ამის დასტური,
ხელდამსხმელი მამაღმერთია
და ერეკლესთან იმერთ თხოვნა
— ბეჭედდასმული:
„განამტკიცებდეს ერთმეფობით
მამულს ერთიანს
თბილის-ქალაქი —
გორგასალის სატახტო სრული!“
ქუთაისს ბევრჯერ ეპყრა
დროშა გადარჩენისა,
დავითფერულიც უფერია,
შესძლო ქურობაც.
დავითიანის — ერთიანის
ცის გაჩენისას
პეტრიწმა ჯვარი გადასწერა
იქაურობას,
ირწმუნა მტერმაც, მოყვარემაც —
ქუთათურობა
ნიშნავს სიყვარულს ერისადმი, —
გულქართულობას.

IV
მიწად — ხალიჩა,
ცად — ზეფირის ბროლის თაღი აქვს...
(მადლობა უფალს, — ცა
„არგოში“ არ ჩაეტია!)
მას შემდეგ მტრისთვის —
კარდახშული,
ძმისთვის — კარღია, —
კოლხეთი თვითონ ლეგენდაა,
აიეტია.
ერთგულთ და ერთსულთ
საქართველოს ამ მიწის, ამ ცის,
აღმაშენებლის,
ჭყონდიდელის უკვდავ საქმეთა,
მეგრელთ მოუძღვის
დიდი ცოტნე —
ეს ერის კაცი
და მოდგმა ძმობას საქმით აქებს,
როგორც აქებდა,
სხვის სამოთხეზე საქართველოს
ჭაობსაც არ ცვლის...
ამბობს თბილისი, შუქურა რომ
არის ეთნოსის:
„სამეგრელოა ხერხემალი
საქართველოსი“.

V
ძმებო სვანებო,
მოყვარეთა გულები თბება
თქვენი ორბული შემართებით,
ქართულ მეობით.
უშბა, უშგული ღმერთმა მოგცათ
სიმაღლის ფრთებად —
პატიოსნებას რომ იფიცებთ
მზით, „ლილეოთი“...
ციხე-კოშკები, —
თქვენი სულის ქებათა ქება, —
თავისუფლების სფინქსებს ჰგვანან —
დროით შეორთქლილს...
ხედავთ?
მთებს იქით უშავესი ლამადე წვება,
ეშმაკს ეკვრება თქვენს
კოშკებზე სანაძლეოთი...
მაგრამ დარჩებით კოშებივით
შეუცვლელ წყებად,
არ დაილევით, —
ზვავებისგან არ ილეოდით!

VI
ძმათა ხორუმში
ფრთებგაშლილი ცეკვავს აჭარა,
სამიდღემშიოდ ძმათა გულში
დაიდო ბინა...
ჭოროხი ისევ შლის სალ კლდეებს
ქვიშად, კაჭარად,
ჩამოაქვს ბარში
სასახლეთა ფუძედ და ტინად...
შვილზეც არ გაცვლის აჭარელი
ენას და მამულს,
არის ერთგული,
როგორც იყო ღვთის შობის წინათ,
როგორც შეჰფერის ქართულ კდემას,
სინდისს და ნამუსს,
ბათუმი — თეთრი პატარძალი, ასე
რომ ბრწყინავს, —
თბილისთან ერთად ერთი ღერძის
არის საყრდენი.
ამ ღერძის ბრუნვით საქართველო
უნდა გადარჩეს!
ერთი საერთო მამულია
სამშობლო ჩვენი,
მთელს დუნიაზე იგი არ ჰგავს
ქვეყნებს დანარჩენს.

VII
სიცოცხლის წყარო — კრიმანჭული
როცა მწყურია,
ქართული სულის სწორ სარკეშიც
მინდა ჩახედვა,
სტუმრად ვეწვევი ულამაზეს კუთხეს
— გურიას...
სუფრა იშლება სუფსის პირას
მეინახეთა.
ძგერს საქართველოს სასიკეთოდ,
აქ რომ გულია,
თავისუფლების რადგან იცის გზების
მიგნება.
საბედნიეროდ,
სიყვარულით შეჯავშნულია,
გულთა კავშირად ქართველების
მუდამ იქნება.
ხვავით, ბარაქით და სიცოცხლის
გრძნობით სავსეა,
ამერ-იმერთა სიმკვირცხლე და
სიკისკასეა!
უფრო სიცხადით სხვა ვერ
გეტყვით —
დავა რაზეა,
„ძამა, სამშობლოს უკვდავების
გზები ასეა!“

VIII
ძმები ვიყავით, —
ერთმორწმუნე, აფხაზო, მუდამ
და „მორდუობას“ აფასებდა ძველი
ქართველიც.
საერთო გვქონდა —
მიწაც, წყალიც, ნაბადიც, გუდაც.
ვცხოვრობდით
ერთი თაფლითა და ერთი
ნაღველით...
— დღეს?!
ძუძუმტეებს ფეხი რაზე
გადაგვიბრუნდა,
ცალკერძ სასუფროდ
კოლხურიდან რატომ წახველით?!
გადაგვარჩინეს ჭალიკონებს ჩვენმა
ძირებმა,
ჩვენს ერთად ყოფნას ვუმადლოდეთ
თვალებს გახელილს.
წინაპრებს უთქვამთ:
ღია ზღვაში რომ იძირება,
იმ ხომალდიდან გადარჩება
მხოლოდ სახელი...

IX
ყველა ქართველი, ნეტავ, იყოს
ეგრე ქართველი,
როგორიც ბარში კირითხურო
ჩადის რაჭველი,
არ ჩაგვიქრება გრიგალებში
სულის სანთელი,
აგვიყვავდება მთაშიც, ბარშიც
ბაღი ფრთაჭრელი.
დაუშლელობა ჩვენი ყოფის! —
აი, პირობა!
სახლს ვინც გვიშენებს, სხვა
პირობით
არ იმოსება.
მისაბაძია რაჭველ ძმათა
პირდაპირობა
და თონის პურზეც ოფლის
წვეთი —
პატიოსნება,
რაღა თქმა უნდა,
ბარში შრომის შვილებს ელიან, —
ის რაჭველია, სვანია თუ
ლეჩხუმელია...
მაგრამ რაჭაზე
მარადმლოცველს სტკივა მუხლები,
მისი გაზრდილი —
დიდებული კვნესის პოეტი,
ზარებს არისხებს: (მთებს ტოვებენ
ახალ-უხლები, —
ნასახლარებზე სახლდებიან უცხო-
ტომელნი.

X
ამასვე ვეტყვი ამაყ შვილებს
ჩვენი მთებისა:
ფშავლებს,
მთიულებს,
მოხევეებს,
ჯეელთ თუშების
და ხევისბერებს მესამანე
ხევსურებისა, —
უებარ წამლად — ჭრილობათა
გამოშუშების
გქონდათ „მხედრული“
სიბნელეში
მზის ასანთები!..
ვაჟა-ფშაველას მთებზე მდგარნი
ალუდას გავხართ,
ქართული სულის მარადუქრობ
კერასთან თბებით,
თქვენია მთები,
სანამ ერთგულ პატრონად
ჰყავხართ,
დატოვებთ მთებს და...
ვაი, ძმებო, სხვისია მთები!

XI
მოიმღეროდი,
მოდიოდი ხალიბთა გორით,
მესხო,
რუსთველის წიგნი-ფარით
შეუმუსრავით,
რჩეული შვილი
საჯავახოს რჩეულთა შორის,
თამარის ჩრდილში გააბამდი
ცასთან მუსაიფს, —
მერე გრიგალში,
როცა ბედმა მოთოვა შავად, —
შვილთა ნაწილი გაგითათრდა,
გამუსულმანდა,
მაგრამ პოულობს დედის კალთას,
მაღლდება თავად
და უბრუნდება
გზა-კვალს ქართველ გმირთა,
სულმნათთა.

მებრძოლი ლექსი

ოთარ შალამბერიძე

# ახალი ორძალები

## (კოკა ყანდიაშვილს)

ბატონო კოკა, ცაც რო ცისფერ ეკრანად იქცეს,
ვერ დაიტევდა მას, რაც ხდება ივერთა ცის ქვეშ!...

* * *

არა, იმიტომ კი არ ვცოცხლობთ, რათა გვიყვარდეს,
იმიტომ გვიყვარს, რომ უდროდ არ დაგვიღამდეს.

* * *

ამაოაო, ამბობს ღვთაება, —
ამაოების გამო ვაება.

* * *

ჩემს ბაგეებზე (მომისაჯა განგებამ ასრეც—)
დამწვრობასავით გამოტანჯულს ვიწიწკნი აზრებს...

* * *

სიყვარულს მტრები არ ჰყავსო? — მოგეცათ ლხენა, —
ვისაც არ ძალუძს შეყვარება, მტერია ყველა!..

* * *

სიყვარული არ ითვლის ალალსა თუ არამ წამს,
მე მაგ გრძნობის გარეშე სიძულვილიც არა მწამს.

* * *

წმინდა ბიბლია
წიგნთა ხიბლია.

* * *

როცა მეურმემ მოკრძალებით ურემზე დამსვა,
ისე გულსავსე არ ვყოფილვარ მანამდე არსად.

* * *

ჩემს ბავშვობაში მხარგაშლილი, ლაღი სოფელი
წახდა და გახდა ნაქარალი ბაღის სწორფერი.

* * *

ნაღვლიანია უმეტესად ჩემი ორძალი,
ხან განშორების, ხან შეხვედრის ცრემლით მომწვარი.

* * *

ვინ არ იცის, ღვინო მსხვერპლს რო უდარაჯებს? —
კაცი თუ ხარ, მთვრალიც კაცად უნდა დარჩე!

* * *

(ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს)
ასეთი ქალი (გიზიარებთ ყურმოკრულს, მენდეთ — )
არ ჰყოლიაო საქართველოს თამარის შემდეგ!..

* * *

მეყსეულად ცის ეტრატი ელვამ ისე გახაზა,
უსათუოდ ღმერთმა ხელი მოაწერა რაღაცას...

* * *

იცით, რას ნიშნავს ვრცელი სიტყვა „სამარდისო“?
დიდ ამაღლებას თვით ცამაღლის კამარამდისო...

* * *

(არნოლდ გეგეჭკორს)
ყველას არ ძალუძს მხარი მისცეს ვაჟას ხვაშიადს, —
ბუნება — შენში, შენი სულიც ბნუებაშია!..

* * *

მე დრო დედო-ხეს მივამგვანე.. და უნდა ნახოთ,
როგორი ზრუნვით გვაწვდის ხოლმე ტკბილ-მწარე ნაყოფს.

* * *

აგრე ნუ ამბობ, — ყოველივეს წარმავლად ნუ თვლი, —
სულ მახსოვს ჩვენი ნამალავი პაემნის წუთი...

* * *

ჩემს ორძალებს ახალგაზრდა ღვინის ზნე აქვს:
რაც ძველდება, წვენში ჭრა და ლხინი შეაქვს.

* * *

ზოგჯერ ყრმასაც წამოსცდება
აზრთა შორის საოცრება.

* * *

როგორ გაჩნდა სიყვარული? — ხალხი ყვება მგონი მართალს:
მოფრინდაო ფერია და სიყვარულად მოინათლა.

* * *

სიზმარს ჰგავს ის დრო, სიყვარულში რომელიც გადის,
სიყვარული კი, დროს რო მიაქვს, — ესაა ცხადი.

* * *

ნატვრისთვალი რო მქონდეს (ცას ავცქერი ოცნებით, — )
ვიცი, საქართველოსთვის ვისაც გავაცოცხლებდი...

* * *

ვუვლი ნორჩ კედრებს, რო ჰგვანან აგრე
ინანიშვილის წვერწათლილ ფანქრებს...

* * *

ჩვენში რაღაცა ლპება-მეთქი (ვაითუ ფესვი?)
სულ ამას ვყვირი, მაგრამ რა ვქნა, არავის ესმის.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 15 სექტემბერი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კიტუ" **10.10** მხ. ფილმი **"ლიფტის ხელმარცხნივ"** **11.30** "ოქროს მართვე" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **15.15** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **17.05** რამპა **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი "კიტუ" **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"(ენდი გარსია) **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი **"ფულის მეფენი"**

---

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი **"სუნამო"** **21.00** ვმესტე **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი **"ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან"**.

---

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **17.30** სერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი **"მაშველები"** **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა "საქართველო-უახლესი ისტორია" **19.50** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **22.00** სერიალი **"ჯაშუში"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი **"თვალცრემლიანი მკვლელი"**. მთ. რ-ში: მარკ დაკასკოსი, ჯული კონდრა.

---

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი **"პინოქიო"** **10.20** მხ.ფ. **"პლიაჟზე"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **21.00** სერიალი **"საჰაერო პოლიცია"** **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.**"პირველი მილიონი"** **01.05** მუსიკა

---

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.15** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** "დროება" **10.30** ლარის მახე **11.05** სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.05** სერიალი **"ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები"** **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"ამაზონია"** **15.15** მხ. ფილმი **"მკვლელის ხელწერა"** **17.00, 18.00, 19.00, 20.55, 22.00** ქრონიკა **17.25** "X კლუზივი" **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.20** სერიალი **"ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები"** **20.15** სპორტ. პროგრამა "გოლი" **21.05** დოკ. ფილმი "ვიტორიო სელა" **21.40** "დროებითი ზღვარი" **23.15** მხ. ფილმი **"დამსმენი"** **01.00** ქრონიკა

---

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"ნიშნები"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"მთელი მსოფლიოც არ კმარა"**

---

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"შველა სიყვარულშია"** **15.00** მხ. ფილმი **"კარტი, ფული და ორი ლულა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი **"ურჩხული და ლამაზმანი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"დიდი დედილოს სახლი"** **22.30** მხ. ფილმი **"60 მილიონის ღირებულების ოპერაცია"**

---

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.00** ინდური მხ. ფილმი **"დანაშაულის გრძნობა"**

---

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ჩემი ძაღლი სკიპი"** მთ. რ-ში ფრენკი მუნიცი, დაიან ლეინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"მეწამული მდინარეები"** მთ.რ-ში ჟან რენო, ვინსენ კასელი. **01.40** "ღამურა" **"მონტენეგრო"** მთ.რ-ში სიუზან დისპა, ერლანდ ჯოზეფსონი. **03.00** პაუზის გარეშე

---

